პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 143 (5244) | ხუთშაბათი, 23 ივნისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვამრავლოთ სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველები (მეოთხე გვ.)

ამხ. **მ. ი. კალინინის** სიტყვა ქარხანა „სევკაბელის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე ქალაქ ლენინგრადის სვერდლოვის საარჩევნო ოლქში 1938 წლის 20 ივნისს.

ძალოსან მ. კასიანიკის მსოფლიო რეკორდი (1-ლი გვ.)

პარტიული ცხოვრება: **გ. ლომიძე**—ახალმა პარტკომმა გააჩალა მუშაობა; **ე. გვასალია**—პირველი ნაბიჯები; **გ. მერკვილაძე** — სოხუმის რაიკომმა დაივიწყა პარტგანათლება (მე-2 გვ.)

ჩაის კრეფის სახელოვან ოსტატთა გამოცდილება (მე-3 გვ.)

უცხოეთში:

კამათი თემთა პალატაში (მე-4 გვ.)

„ესპანეთის საკითხის გადასაჭრელად 3 გზა“ (მე-4 გვ.)

საფრანგეთის მემარცხენე პრესა ალფონსოს [illegible] (მე-4 გვერდი)

საბჭოთა მთავრობის წარდგინება პანტონის ბომბარდირების წინააღმდეგ (მე-4 გვ.).

ვამრავლოთ სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველები

ოცი წლის წინათ, 1918 წლის 7-10 ივნვარს, დიდმა **ლენინმა** დასწერა შესანიშნავი სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“. ამ სტატიაში დიდი **ლენინი** სწერდა: „სოციალიზმი არა თუ აჭრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად **ფართოდ** ნამდვილად **მასობრივი** ოდენობით“. ვ. ლენინის ამ ბრძნულმა სიტყვებმა სრული განხორციელება ჰპოვეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიადი საბჭოთა კავშირში ფართო გაქანება ჰპოვა. იგი მძლავრად მოედო ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლში წარმოიშვნენ მაღალი მოსავლისათვის მებრძოლი ოსტატები, ჩვენი დროის წარჩინებული ადამიანები, დამკვრელები, სტახანოველები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა გამოიწვია. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მთელი რიგი კოლმეურნეობები, ქარხანა-ფაბრიკები საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ. ავიღოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიცაა ჩაის კულტურა. ჩვენში ცოტა როდი მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნენი, რომელნიც ყოველდღიურად ჰკრეფენ 100-ზე მეტ კილოგრამ ფოთოლს. ცალკეული რეკორდსმენები კი 200-დან 300 კილოგრამამდე ჰკრეფენ. რასაკვირველია, ცალკეულ რეკორდებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ცალკეულმა რეკორდსმენებმა თან უნდა გაიყოლიონ მასები. ამოცანა ის არის, რომ სტახანოვურ მოძრაობაში ჩავაბათ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ახალი ფართო ფენები. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს სტახანოველთა საკავშირო თათბირზე კრემლში 1935 წლის 14-17 ნოემბერს დიდი **სტალინის** მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი მთელი სიღრმე-სიგანით სსრ კავშირის ყველა ოლქსა და რაიონში“.

კოლმეურნენი იჩენენ დიდ ინტერესს შრომის მაღალი ნაყოფიერებისადმი. ისინი ღებულობენ ყველა ზომას, რათა უფრო უკეთ იმუშაონ და საერთო აღმავლობას მიაღწიონ. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში შრომა ღირსებისა და დიდების საქმედ არის გადაქცეული. კოლმეურნეთა შესანიშნავი ინიციატივის სრული განსახიერებაა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი ოჩამჩირისა და გალის რაიონების ჩაის კრეფის სახელოვან ოსტატებისადმი. „კომუნისტის“ საშუალებით ივნისის პირველ რიცხვებში რუხელმა კოლმეურნეებმა წერილით მიმართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სტახანოველ კოლმეურნეს უშა ახუბას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ორდენოსან ცაცა ქარდავას და სტახანოველ კოლმეურნეს დუშა ქვაჩახიას და მოიპატიჟეს ისინი კოლმეურნეობაში, რათა გაცნობოდნენ იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მათ მოიპოვეს ჩაის ფოთლის კრეფაში. მოწინავე სტახანოველმა კოლმეურნეებმა თანხმობა განაცხადეს მიწვევაზე, 6 ივნისს ესტუმრნენ რუხელ კოლმეურნეებს და პრაქტიკულად ბლანტაციაში გააცნეს მათ თავისი გამოცდილება. ცაცა ქარდავას, უშა ახუბასა და დუშა ქვაჩახიას ეს შესანიშნავი გამოცდილება აწერილია „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში.

წელს მაისის უკანასკნელ რიცხვებში უშა ახუბამ მოკრიფა 299 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად 11 კილოგრამისა, ცაცა ქარდავამ 215, ხოლო დუშა ქვაჩახიამ 258 კილოგრამი ფოთოლი.

ეს და ამგვარი რეკორდები ნათლად მოწმობენ იმას, თუ რა დიდი წარმატებების მოპოვება შეუძლიათ საბჭოთა ადამიანებს, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ და მას საკუთარი გამოცდილებით ავსებენ. რაშია ცაცა ქარდავას და სხვა მოწინავეთა გამარჯვების „საიდუმლოება“? უპირველეს ყოვლისა, იმაში, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მათ იციან „დროის აგგარიში არა მარტო წუთობით, არამედ წამობითაც“. შრომა ინაირად აქვთ მოწესრიგებული, რომ იციან როდის რა გააკეთონ. ჩაის ფოთოლს ორივე ხელით ჰკრეფენ, ყურადღებას აქცევენ ყოველგვარ წვრილმანს. მათ იციან ბუჩქზე მიდგომა, შემოსულ ფოთოლს მიყოლებით ჰკრეფენ. ცაცა ქარდავამ შარშან გამოიგონა მარტივი კონსტრუქციის სამგანყოფილებიანი კალათი, რომელიც ახლა ოჩამჩირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებშია გავრცელებული. ამით მან მიაღწია ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

წელს ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა 35 მილიონი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის დროზე და უდანაკარგოდ მოკრეფა და ფაბრიკებში მათი დროულად გადამუშავება. ამ საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას, სტახანოველთა რიგების ზრდას.

ჩაის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოო-მქმედო ორგანიზაციების ამოცანაა მოწინავეთა გამოცდილება გააცნონ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშას. რაიონული პრესა ვალდებულია ფართოდ გააშუქოს გზეთის ფურცლებზე მოწინავეთა მიღწევანი და უჩვენოს თუ როგორ, რა გზით ახერხებენ ისინი შრომის მაღალნაყოფიერების მიღწევას. სტახანოველთა რიგების გამრავლება არის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სტახანოვური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრივობაშია, „ყრილობა ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციის წინაშე აყენებს სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობის ყოველმხრივი გაუმჯობესების, სტახანოველთა რიგების მუშათა და კოლმეურნეთა ახალი ფართო ფენების მიზიდვის და დაწინაურებულ მუშაკების ახალი კადრებისადმი ყოველდღიური დახმარებისა და ყურადღების გაძლიერების ამოცანას“ (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის რეზოლუციიდან). ამ დავალების შესასრულებლად პარტიულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაშალონ დამკვრელური მუშაობა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმოო-მქმედო ორგანოები ვალდებულნი არიან საათავეში ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას და ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ძალოსან მ. კასიანიკის მსოფლიო რეკორდი

თბილისელმა ძალოსანმა მ. კასიანიკმა, რომელიც მონაწილეობას იღებს ძალოსანთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში, რასაც სასპორტო საზოგადოება „სპარტაკი“ ერევანში ატარებს, ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელზე გამოგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

საზოგადოება „სპარტაკის“ მიერ მოწყობილ ძალოსანთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაზე მე დავამყარე მსოფლიო რეკორდი, რომელიც გერმანელ ლიბშს ეკუთვნოდა. ახალ მსოფლიო რეკორდს ვუძღვნი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობას.

მსოფლიო რეკორდსმენი მ. კასიანიკი

ამხ. მ. კასიანიკი — ნახევრად-მსუბუქი წონის ძალოსანია. მისი ახალი ბრწყინვალე რეკორდი ორივე ხელით აჭიმვაში 322 კილოგრამს და 750 გრამს უდრის. ეს ერთსადაიმავე დროს წარმოადგენს სრულიად-საკავშირო რეკორდსაც და მსოფლიო რეკორდსაც. წინანდელი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა გერმანელ ლიბშს (322 კილოგრამი და 500 გრამი). (საქდესი).

სტახანოველთა გამარჯვებანი

(ტყიბული, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. თუ ხუთი დღის წინათ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში ყოველდღიურად ამოჰქონდათ 800 ტონა ქვანახშირი, 13 ივნისს ამოღებულია 1214 ტონა.

ლენინის სახელობის მაღაროში მოწინავე სტახანოველმა, საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობის დელეგატმა, მნგრეველმა ლავრენტი ცქიფურიშვილმა 13 ივნისს პირველ ცვლაში 17 ტონა ქვანახშირის ნაცვლად მოანგრია 118,7 ტონა. ამავე მაღაროს მეორე სტახანოველმა, საექსპლოატაციო უბნის პარტჯგუფორგმა ვ. ხუჯაძემ ნორმით გათვალისწინებული 21 ტონა ქვანახშირის ნაცვლად მოანგრია 112,8 ტონა.

იმავე დღეს სტალინის სახელობის მაღაროში მეთერთმეტე ყრილობის დელეგატმა ამხ. ქსენეფორე ბეშკენაძემ 7 საათის განმავლობაში ნორმით გათვალისწინებული 15 ტონა ქვანახშირის ნაცვლად მოანგრია 76,6 ტონა, ხოლო ამავე მაღაროს სტახანოველმა კომუნისტმა ამხ. შალვა ფურცხვანიძემ მოანგრია 70 ტონა ქვანახშირი, ნორმის 466,7 პროცენტი. მაღაროებში სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება.

მ. ზარნაძე.

ამხანაგ მ. ი. კალინინის სიტყვა

ქარხანა „სევკაბელის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე ქალაქ ლენინგრადის სვერდლოვის საარჩევნო ოლქში 1938 წლის 20 ივნისს

ამხანაგებო! ჩვენში განსაკუთრებული ნდობა სუფევს კანდიდატებსა და ამომრჩევლებს შორის. ჩვენ უფრო მივესალმებით ერთმანეთს, ვიდრე ჩაკრკიტებით გამოვკითხავთ ერთმანეთს, განსაკუთრებით შეიძლება ეს ითქვას ამომრჩეველთა ურთიერთობაზე უმაღლესი საბჭოს თავისი კანდიდატებისადმი. მაგრამ ამის მიუხედავად, თქვენ როგორც ჩემს ამომრჩევლებს, უფლება გაქვთ შემეკითხოთ: რას გავაკეთებ მე, როგორც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რა ხაზს გავატარებ რუსეთის სსრ უმაღლეს საბჭოში.

ჩვენში არჩევნები სრულიად სხვაგაირად ტარდება, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენ გვეუბნებიან: ჯანა თქვენ არჩევნები გაქვთ, თქვენში კენჭს მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრისო, ამით ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენი არჩევნების სისტემას. კაპიტალისტები ჩვენი სინამდვილის შესახებ სიმართლის თქმას გაურბიან.

როგორია ეს სინამდვილე? მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, კოლმეურნეები, ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან. ეს რეალური სინამდვილეა. ჩვენში ორი კლასია მშრომელებისა, რომლებიც არავის არ უწევენ ექსპლოატაციას, რომლებიც თვითონ ჰქმნიან სიმდიდრეს: ბუნებრივია. რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და არ შეიძლება იყოს მეტოქეობა. მუშათა კლასი გახდა ჰეგემონი, ე. ი. არამარტო მატერიალურ ღირებულებათა მპყრობელი, არამედ ფიქრთა მპყრობელიც, აზრთა მპყრობელიც.

როგორ ხდება უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელება? თუ ეს სოფელში ხდება—მას კოლმეურნე გლეხობა ასახელებს; თუ ეს ქალაქში ხდება — მას ასახელებენ მუშები და ინტელიგენცია. რამდენადაც მუშათა კლასი საერთო აზრების გამომხატველია, მთელი მოსახლეობაც მუშათა კლასის იდეებს მიჰყვება.

როგორა მაქვს წარმოდგენილი მე, როგორც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, მუშათა კლასის ნება-სურვილის შესრულება? მთელს ჩემს მოქმედებაში, ყველა ჩემს საქციელში, ყოველი საკითხის გადაჭრისას მე მუდამ ვამოვდივარ და მომავალშიაც გამოვალ მუშათა კლასის საერთო ინტერესებიდან. **(მქუხარე ტაში).**

ვინ გამოხატავს მუშათა კლასის ამ საერთო ინტერესებს, ვინ არის, რომ ყველაზე უფრო მკაფიოდ ამყალიბებს ამ ინტერესებს? სულ მცირე ჩვენი სსრ კავშირის მუშათა 99 პროცენტი მაინც იტყვის, რომ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საეროო ინტერესების მთავარი გამოხატველია კომუნისტური პარტია, რომელიც ამ ინტერესებს გამოხატავს, იცავს მათ, გვიჩვენებს მთელს მსოფლიოში მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების სწორ გზას. **(მქუხარე ტაში).** მე ამ პარტიის შვილი ვარ. **(ხანგრძლივი ტაში).** შეიძლება ზოგიერთმა თქვენგანმა იფიქროს: ოჰ, რა მოხუცი შვილი ჰყოლიაო. **(სიცილი, ტაში).** მაგრამ მაინც, ამხანაგებო, მე კომუნისტურმა პარტიამ წარმომშვა და ამიტომ არა მარტო წევრი ვარ კომუნისტური პარტიის—ბოლშევიკებისა, არამედ მისი შვილიც. **(ტაში).** მე ჩემს მთავარ და წმინდა მოვალეობად მიმაჩნია — ჩვენი პარტიის ერთგული წევრი ვიყო. **(მქუხარე ტაში).**

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის ერთადერთი ნამდვილი პარტიაა. **(ტაში).** კომუნისტური პარტია — ერთადერთი პარტიაა, რომელიც იცავს ყველა ჩაგრულს; კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც ბოლომდე იბრძვის ყველა ჩაგრულის განთავისუფლებისათვის. **(ტაში).**

მთელს ჩემს პოლიტიკურ მუშაობაში მე მივყვებოდი და მივყვები ამხანაგ სტალინს, როგორც ბელადს, თეორეტიკოსს, პროლეტარულ ხელმძღვანელს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ბრძოლა ყველაზე დიდ შედეგებს იძლევა იმიტომ, რომ ჩვენ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ვიბრძვით, ვმოქმედებთ (მქუხარე ოვაციები, შეძახილები: **„ვაშა“ დიდ სტალინს!“).**

და ახლა, არჩევნების წინ, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემს მოქმედებაში მე მუდამ გავყვები ბოლშევიკურ პარტიას, გავყვები ამხანაგ სტალინს. ვფიქრობ, რომ ამით მუშათა კლასის ნება-სურვილს გამოვხატავ. **(მქუხარე ტაში).**

თქვენ, ალბათ, ამ ტრიბუნაზე გამოსული ხალხისაგან არაერთხელ გაგიგონიათ, ჩვენში ცხოვრება საამურიაო. ამ სიტყვებს ტაშს უკრავენ და, ჩემის აზრით, სავსებით სამართლიანადაც.

რაში მდგომარეობს ამ სიხარულის მიზეზი, საიდან გამომდინარეობს იგი და რად არის ეს სიხარული კაპიტალისტური სამყაროსათვის მიუწვდომელი?

ამხანაგებო, ჩვენ, ალბათ, ჯერ კიდევ გაცილებით ღარიბნი ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ეს ფაქტია, რომლის უარყოფას ჩვენ არ დავიწყებთ. მათ მარტო ავტომობილებიც კი ბევრად უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ. მაგრამ ამერიკაში მთელი სიმდიდრის ბატონ-პატრონები მორგანები და სხვა კაპიტალისტები არიან. ჩვენ შედეგებით ღარიბები ვართ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაფრის ბატონ-პატრონი, რაც კი ჩვენ მოგვეპოვება, მუშათა კლასი და გლეხობაა. **(მქუხარე ტაში).** მაინც უკეთესი და უფრო საპატიოა ეს ბატონ-პატრონი, ვიდრე იყო მარტო მოჯამაგირე, თუნდაც ძალიან მდიდარ ბატონთანაც კი. მდიდარ ბატონთან მოჯამაგირედ ყოფნა უფრო ცუდია, ვიდრე იყო შედარებით ღარიბი, მაგრამ ბატონ-პატრონი. **(ტაში).**

ასეთია, ასე ვთქვათ, ამ საკითხის უხეში მატერიალური მხარე. ხოლო არის კიდევ მაღალ-იდეური მხარეც, რომელიც, არსებრივად, ამოძრავებს მრავალმილიონიან ხალხს, ალამაზებს თვითეული ადამიანის ცხოვრებას.

ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო იმისათვის, რომ ვიცხოვროთ, არამედ ვცხოვრობთ აგრეთვე მომავლისათვის, ვცხოვრობთ მთელს მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).** ეს იდეური დამუხტვა, ეს მაღალი მიზნები, რომლებიც დასახულია ყოველი პატიოსანი მუშის წინაშე, ყოველი სპეციალისტის წინაშე, რომლებიც დასახულია როგორც მამაკაცის, ისე ქალის წინაშე, რომლებსაც გრძნობს და ითვისებს ჩვენი ახალგაზრდობა, — ეს მიზნები ალამაზებენ, აკეთილშობილებენ ჩვენს ცხოვრებას, ხდიან მას მაღალ-იდეურად. ეს მაღალი მიზნები აღგვაგზნებენ ჩვენ იმ ელექტრობით, რომელიც გვალაპარაკებს ხოლმე: რა კარგია ჩვენი ცხოვრება! **(მქუხარე ოვაციები).**

იმის შეგნება, რომ ჩვენ ვართ ავანგარდი, რომ ჩვენ ვართ ჩაგრული კაცობრიობის დამკვრელი ბრიგადა, იმის შეგნება, რომ ჩვენ მივდივართ წინ, ვიკვლევთ გზებს, ვიკაფავთ ვზას კომუნიზმისაკენ არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც, — ეს შეგნება ჩვენ უდიდეს, ურყევ ძალას გვაძლევს **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვცხოვრობთ. ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ადვილად მოპოვებული როდია. ეს თქვენ თვითონ იცით. ის, რაც ჩვენ ახლა გვაქვს, ჩვენ მიერ მოპოვებულია უდიდესი მსხვერპლის გაღებით და არა მარტო შრომისა და გაჭირვების ფასად, არამედ ბევრი კეთილშობილი, პატიოსანი პროლეტარისა და გლეხის სიცოცხლის ფასადაც. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო მტკიცე უნდა გავხადოთ ჩვენი სამშობლო, გავაძლიეროთ სოციალიზმის სამყარო და დავასუფლოთ ჩვენდამი მტრულად განწყობილი სამყარო. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა.

სოციალისტური მშენებლობის გაძლიერება მარტო ერთი ხაზით როდი მიმდინარეობს. სოციალიზმის მშენებლობა მრავალფეროვანია და მტრებთან ბრძოლაც აგრეთვე მრავალფეროვანია. ჩვენი მტერია კაპიტალისტური მსოფლიო. იგი ვერ ურიგდება იმას, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალისტური წყობილება არსებობს, რომ ჩვენში კაპიტალიზმი მოსპობილია. იგი არა მარტო პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ, არამედ ჩვენს მოსპობასაც კი ცდილობს. იმისათვის, რომ ჩვენ შევინარჩუნოთ საბჭოთა ხელისუფლება, იმისათვის, რომ დავრჩეთ მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე დამკვრელ ბრიგადად, ჩვენ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყანა. ხოლო ამისათვის საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი და ბევრი მუშაობა. ძალიან ბევრი!

რაში მდგომარეობს ეს მუშაობა, რას უნდა ვცდილობდეთ ჩვენ? ჩვენ უნდა ვცდილობდეთ იმას, რომ თვითეული ჰექტარი მიწა იძლეოდეს რაც შეიძლება მეტ პროდუქტებს. სწორედ ეს არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ლაზარის ჩაცემა კაპიტალისტური მსოფლიოსათვის. საჭიროა, რომ თვითეული ქარხანა, თვითეული ფაბრიკა, თვითეული საამქრო მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს თავის გეგმებს. სახელმწიფო გეგმის შესრულება უსათუოდ ლახვარს სცემს მტერს და ზრდის ჩვენს ძლიერებას.

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე პროდუქციის ხარისხიც. აი აქ 2 ათასზე მეტი კაცი იმყოფება, მე ვფიქრობ, რომ მათ შორის არცერთი არ არის ისეთი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც არ ჩიოდეს პროდუქციის ცუდ ხარისხზე. **(სიცილი).** მაგრამ, ამხანაგებო, ვინ ამზადებს ამ პროდუქციას? კაპიტალისტურ მსოფლიოში შეიძლება ითქვას: აი არამზადები, დამპალი საქონლით უნდათ გამდიდრდნენ! ჩვენში კი? ჩვენში პროდუქციის ცუდი ხარისხი მხოლოდ დაუდევრობით შეიძლება აიხსნას. ზოგი — ვინმე ჯერ კიდევ ლაპარაკობს: „არაუშავსრა, ასედაც ატარებენ, ასედაც შესჭამენო...“ ხოლო ვინ უნდა ატაროს, ვინ უნდა შესჭამოს? ჩვენ თვითონ!

მაშასადამე, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ პროდუქციის ხარისხისათვის. მხოლოდ მაშინ შეგიძლია მოსთხოვო სხვას კარგი ხარისხის პროდუქცია, როდესაც შენ თვითონ ისწავლი კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ხარისხისათვის ბრძოლა—ესეც საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაა.

ხარისხისათვის ბრძოლა მუშათა ბრძოლა უნდა იყოს და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებმა. საბჭოთა პროდუქციის ხარისხი ძალიან მაღალი უნდა იყოს. ავიღოთ ჩვენი პროდუქტების შეფუთვა. იგი უნდა იყოს უბრალო, არა მყვირალა, მაგრამ მაინც ლამაზი. სილამაზე და ხელოვნება მარტო თეატრებში, კონსერვატორიებში, მუსიკალურ ან სამხატვრო სტუდიებში როდი ინერგება. სილამაზის გრძნობისა და ხელოვნების გაგების შეძენა ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ შენ ლამაზ საგნებს ხედავ და ამ საგნებით სარგებლობ. ჩვენ, მამებსა და დედებს, გვინდა, რომ ჩვენი შვილები სილამაზისა და ხელოვნების გაგების მხრივ ჩვენზე მაღლა იდგნენ. ამიტომ პროდუქციის დამშადებისას უნდა ვიბრძოლოთ სილამაზისა და ხელოვნებისათვის.

როგორც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მე ყოველივე ღონეს ვიხმარ ამ ამოცანების გადასაჭრელად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩემი ამომრჩეველი ამაში შეძლებისდაგვარ მონაწილეობას მიიღებს **(ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ, ნება მიბოძეთ ვისურვო, რომ 26 ივნისს ჩვენი ოლქი კუდში არ მისჩანჩალებდეს სხვა საარჩევნო ოლქებს. მე, რასაკვირველია, ვისურვებდი, რომ ჩვენი ოლქი მოექცეს არა უკან, არამედ წინ. **(სიცილი. ტაში).** ეცადეთ, ამხანაგებო, რომ ეს ასეც მოხდეს. **(ტაში).** თუ თქვენ ამას მიაღწევთ, — ესეც აგრეთვე საბჭოთა წყობილების განმტკიცების ერთერთი ელემენტი იქნება, ესეც აგრეთვე ლახვრის ჩაცემა იქნება საერთაშორისო კაპიტალისათვის. **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: ჩვენს კანდიდატს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს—„ვაშა“!).**

(საკდესი).

ლენინგრადი, 21 ივნისი.

საბჭოთა კავშირში

ამერიკელი ექიმების ჩამოსვლა

23 ივნისს სსრ კავშირში ჩამოდის ამერიკელი ექიმების ჯგუფი შედიცინის ისტორიის ცნობილი ბალტიმორელი პროფესორის ჰენრი ზიგერისტის მეთაურობით. სტუმრები სამ დღეს დაჰყოფენ ლენინგრადში, ხოლო შემდეგ ჩამოვლენ მოსკოვს.

ამერიკელი სტუმრები დედაქალაქში გაეცნობიან გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის ლაბორატორიებს, ბოტკინის სახელობის საავადმყოფოს, კურორტოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტს, 1 სამედიცინო ინსტიტუტს და სხვა.

3 ივლისს ამერიკელი ექიმები გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირის დასათვალიერებლად. ისინი იწახულებენ ხარკოვს, დონის როსტოვს, კისლოვოდსკს, თბილისს, ბათუმს, სოჭს, იალტას, ოდესასა და კიევს.

1700 წლის წინათ მოჭრილი ფულის რესტავრაცია

ლენინგრადი, (საკდესი). მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ტექნოლოგიის ლაბორატორიამ დაამთავრა რესტავრაცია იმ შესანიშნავი განძის ფულებისა, რომელიც აღმოჩენილ იქნა ქერჩის ნახევარკუნძულზე. ეს განძი იპოვეს თიხის დოქში, რომელიც პირამდე სავსე იყო ფულით. ეს ფულები მოჭრილია 1700 წლის წინათ.

გულდასმითი მუშაობის შედეგად 2.097 ცალი ფულიდან შეუძლებელი გახდა მხოლოდ 18-ის აღდგენა. ფულის უმრავლესობა სრულიად ახალს ჰგავს.

მზადება სრულიად-საკავშირო სასროლო სპარტაკიადისათვის

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სრულიად - საკავშირო სასროლო სპარტაკიადისათვის. სპარტაკიადა გაიხსნება მოსკოვში 20 აგვისტოს. მასში მონაწილეობას მიიღებს თვითეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მსროლელთა ორორი გუნდი.

ამჟამად ადგილებზე იწყება შესარჩევი შეჯიბრება, რომლის შემდეგ შედგენილი იქნება გუნდი დედაქალაქში გასამგზავრებლად. რუსეთის სფს რესპუბლიკის გუნდი დაკომპლექტდება მოსკოვში. აქ 10-დან 25 ივლისამდე ცენტრალური სასროლო კლუბის სასროლო მოედანზე ვეშნიაკში მოხდება შესარჩევი შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაზე გამოწვეულია სასროლო სპორტის 95 ოსტატი და 55 მსროლელი-მოწაფე და პიონერი.

სრულიად-საკავშირო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. ა. ვ. კოსარევი, სპარტაკიადის მთავარ მსაჯად — თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის I რანგის სარდალი ამხ. ფედკო.

120 კილომეტრი საათში

სწრაფი ორთქლმავლის „2-3-2“ გამოცდა

ვოროშილოვგრადი, 18 ივნისი (საკდესი). მაისის დასასრულს ვოროშილოვგრადიდან სლავიანსკის დეპოში გაიგზავნა ახალი სწრაფი ჰაერმკვეთი ფორმის ორთქლმავალი „2-3-2“, რომელიც აშენებულია ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანაში. თანახმად ქარხანაში მიღებული ცნობებისა, ორთქლმავალმა დაამთავრა 6 ათასი კილომეტრის საგამოცდო გარბენა. გამოცდის დროს ამ ორთქლმავალმა გაატარა საგარეუბნო მატარებელი საათში 90 კილომეტრის სისწრაფით, საბარგო შემადგენლობა — 100 კილომეტრის სისწრაფით საათში. უკანასკნელი მოძრაობის დროს ჩქარი მატარებლით სლავიანსკ-ხარკოვის უბანზე ორთქლმავალმა მიაღწია 120 კილომეტრს. ორთქლმავლის ყველა მექანიზმი კარგად მუშაობს.

ყინულების საკვლევად

კოლარული მფრინავები უახლოვდებიან ჩრდილოეთის ზღვებს

პოლარული ავიაციის მფრინავები ამხ. სიროკკაშა და ასიამოვი, რომლებიც მიემართებიან ყინულების საკვლევად ჩრდილოეთის ზღვებისაკენ, ორმოტორიანი ჰიდროთვითმფრინავებით „სსსრ ნ-233“ და „სსსრ ნ-234“ 12 ივნისს ნოვოსიბირსკიდან გადაფრინდნენ კრასნოიარსკში.

მფრინავი ამხ. ჩერევიჩნი მფრინავი ნავით „სსსრ ნ-236“ ირკუტსკიდან იაკუტსკში ჩავიდა. (საკდესი).

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მინსკი, 19 ივნისი (საკდესი). 19 ივნისს შესდგა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, არჩეული ბელორუსიის კ. პ. (ბ) XVII ყრილობის მიერ.

პლენუმმა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. **პ. კ. პონომარენკო** და **ა. ა. ანანიევი.**

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობად არჩეული ამხ. **პ. კ. პონომარენკო, ა. ა. ანანიევი, ა. ფ. კოვალიოვი, ნ. ი. ნატალევიჩი, ა. ა. ნასედკინი, ა. მ. ლევიცკი, მ. ი. რეპინსკი, მ. პ. კოვალიოვი** და **ფ. ი. გოლიკოვი.**

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კანდიდატებ

პარტიული ცხოვრება

პარტკაბინეტი მოუქნელად მუშაობს

(თიანეთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პარტკაბინეტი (გამგე გ. მაჭავარიანი) და მისი ბიბლიოთეკა (გამგე ნ. მამადაშვილი) სუსტად მუშაობენ. აქ მივიწყებულია პოლიტიკური აგიტაცია. პარტკაბინეტი სუსტად იბრძვის კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სისტემატურად არ ტარდება პარტპოლიტწრეების პროპაგანდისტთა სემინარები. ასევე მივიწყებულია პარტკაბინეტის მიერ კომკავშირის ორგანიზაციისადმი დახმარება. საქ. ალკა თიანეთის რაიკომმა ორჯერ (10-სა და 24 აპრილს) დანიშნა კომკავშირის პოლიტწრეების პროპაგანდისტთა სემინარი, მაგრამ პარტკაბინეტის გამგემ ორივეჯერ უმიზეზოდ ჩაშალა.

პარტკაბინეტი და ბიბლიოთეკა სამკითხველოდაა გადაქცეული. აქ პარტწევრები და კომკავშირელები მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ და ბიბლიოთეკიდან წიგნები მიაქვთ სახლში, სხვა დახმარებას კი ვერ ღებულობენ.

ბიბლიოთეკაში არეულ-დარეულია წიგნების ნუმერაცია და მათი საინვენტარო წიგნში შეტანა. მაგ., 2 ცალი წიგნი „იაპონიის შპიონაჟი" დანომრილია 408 და 409 ციფრებით. ამ ნომრებით კი ინვენტარის წიგნში შეტანილია წიგნი „სწორი თესლთაბრუნვის შემოღების შესახებ" და ამხანაგ სტალინის წიგნი „დიადი გარდატეხის წელი". ასევეა არეულ-დარეული სხვა წიგნების ნუმერაცია.

ხშირია შემთხვევები, როცა ბიბლიოთეკიდან წიგნებს სახლში ატანენ და მათი დაბრუნებისათვის არავინ ზრუნავს. ამნაირად ბიბლიოთეკამ 4-5 თვის განმავლობაში 1000 მან. მეტი ღირებულების წიგნები დაკარგა.

გ. ხენგავა.

პირველი ნაბიჯები

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორი ამხ. ა. სალდაძე პირველად მუშაობს პარტიულ სამუშაოზე. მას არც ისე დიდი ხნის გამოცდილება აქვს, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობს გაამდიდროს თავისი ცოდნა და დაეუფლოს პარტიული მუშაობის ყველა დეტალებს. ამ მიზნით იგი სისტემატურად კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ეცნობა მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობას.

სატრიკოტაჟო ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამასწინათ ჩატარდა, სიტყვით გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ პარტიულ-მასობრივი მუშაობის სისუსტეზე ამ ორგანიზაციაში.

ცალკე კომუნისტები ზედმეტად იყვნენ გადატვირთული, ხოლო ზოგიერთებს სრულებით არ ეძლეოდათ პარტიული დავალებები. მაგალითად, პარტწევრ ი. ყუბანეიშვილს ჰქონდა 6 სხვადასხვა სახის პარტიული დავალება, ხოლო პარტწევრებს პ. ქორქოსაძეს, დარასელიას და სხვებს სრულიად არ ჰქონდათ პარტიული დავალებები, ისინი მოწყვეტილი იყვნენ პარტორგანიზაციის მუშაობას და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ პარტიულ ცხოვრებაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მრავალი სხვა ნაკლიც აღინიშნა. ყველა ამ დეფექტების აღმოფხვრისა და პარტმასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით მიღებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელების საქმეს არჩევნების ჩატარების დღიდანვე სერიოზულად მოეკიდა ახლად არჩეული პარტორგი ამხ. ა. სალდაძე.

პირველ ყოვლისა მან პარტიულ მუშაობაში ჩააბა ყველა კომუნისტი. ამჟამად პარტიის ყველა წევრკანდიდატს აქვს გარკვეული დავალება და პარტორგანიზატორი მეთვალყურეობს მის დროულად შესრულებას.

ორგანიზაციამ კედლის გაზეთის მუშაობის გაჯანსაღების მიზნით რედაქტორად გამოჰყო მომზადებული კომუნისტი და ყოველმხრივ დახმარებას უწევს მას დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

გარკვევით გაუმჯობესდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორთა კადრი შევსებულ იქნა ახალი, მომზადებული ამხანაგებით. ამხ. სალდაძე მათ ყოველდღიურად ეხმარება მითითებებითა და რჩევა-დარიგების მიცემით. ამჟამად აგიტატორები ყოველდღიურად ატარებენ მუშაობას საამქროებში.

ასე დაიწყო პარტიული ხელმძღვანელობა ამხ. სალდაძემ. იგი სავსებით სწორად მოიქცა, როცა მუშაობაში ყველა კომუნისტი ჩააბა. ეს მეთოდი პარტიული მასის პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ახალმა პარტკომმა გააჩაღა მუშაობა

(ბორჯომი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

საკასრე ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებამ პარტკომის მდივნად აირჩია ამხ. გრიგოლ გელაშვილი. იგი საკასრე ქარხანაში 1927 წელს მივიდა და მუშაობა დაიწყო ტკბილის მწყობელად.

ამხ. გელაშვილი, როგორც საუკეთესო მუშა, 1930 წელს მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. იმავე წელს იგი დაწინაურეს უფროს მუშად.

ამხ. გელაშვილი აქტიურად ჩაება პარტიულ მუშაობაში. იგი პირნათლად ასრულებდა პარტორგანიზაციის დავალებებს. ახლა კი იგი პარტკომის მდივანია.

საკასრე ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაციაა რაიონში. იგი პარტიის 30 წელს და 20 კანდიდატს აერთიანებს.

ქარხნის ახლად არჩეული პარტკომი პარტკომის მდივნის ამხ. გ. გელაშვილის ხელმძღვანელობით ენერგიულად შეუდგა იმ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდნენ საკასრე ქარხნის კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

საანგარიშო - საარჩევნო კრების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა კომუნისტთა საწარმოო ავანგარდული როლი და პოლიტიკური აქტივობა. ქარხანამ აპრილის გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა კი შესრულებულია 103 პროცენტით.

პარტიული კომიტეტის წევრები დაუღალავად ეწევიან პარტიულ საგაგიტაციო მუშაობას.

პარტკომის წევრი ამხ. ალ. მინაშვილი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტია. ამხ. არ. აზრუმელაშვილი ლენინიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტად მუშაობს. ეს ამხანაგები პატიოსნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

პარტკომის წევრები ამხ. ნ. ლომიძე და ბ. ლომუაშვილი არჩეული არიან პარტჯგუფორგებად. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ. მათი მუშაობა მისაბაძია ქარხნის ყველა პარტჯგუფორგებისათვის.

ახლად არჩეულმა პარტკომმა დღემდე რამდენიმე სხდომა ჩაატარა. სხდომაზე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დავალებათა განაწილება, პარტიაში ახალ წევრთა მიღება და სხვ.

თვენახევრის განმავლობაში საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია 4 ამხანაგი. მათ შორის არიან სტახანოველები, ლენინ - სტალინის დიადი პარტიის საქმის ერთგული ადამიანები — ა. ნოზაძე, გ. ქუმარიტაშვილი და ვ. ლურსმანაშვილი.

წარმოების მოწინავე ადამიანები: ამხ. ა. ჯიოშვილი, ა. ყიფშიძე და სხვ. მიღებულ იქნენ თანამგრძნობთა ჯგუფში.

ქარხანაში სუსტად იყო დაყენებული პარტიული აგიტაცია. ცუდად მუშაობდა აგიტკოლექტივი. ახლა ეს ნაკლი სწორდება.

აგიტატორებად შერჩეული არიან საქმით დაინტერესებული და მომზადებული ამხანაგები. ნაყოფიერად მუშაობენ აგიტატორები: ამხ. ალ. ბერეკაშვილი, შ. გიორგაძე, პ. საიკიძე და გ. ყენაშვილი.

გაუმჯობესდა აგიტკოლექტივის მუშაობა. თვეში სამჯერ სისტემატურად ტარდება აგიტსემინარის მეცადინეობა. აგიტკოლექტივს ხელმძღვანელობს პარტკომის მდივნის მოადგილე ამხ. ალ. მინაშვილი. იგი მეცადინეობას ყოველთვის მომზადებულად ატარებს.

გრ. ლომიძე.

დაწინაურეს ახალი კადრები

(სილნაღი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) სილნაღის რაიკომმა და რაიალმასკომმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე გაბედულად დაწინაურეს ახალი კადრები—პარტიულები, კომკავშირელები და უპარტიოები.

უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში პასუხსაგებ სამუშაოებზე დაწინაურებულია 104 კაცი; აქედან პარტიის წევრებია 65, კომკავშირელები—28, უპარტიოები—11. ამ ახალი კადრებიდან პარტიულ საგმუშაოზე დაწინაურებულია, 10, საბჭოთა სამუშაოზე—სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ — 8, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად—36, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებად—50.

ნ. ი. ეფოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. ბიკაშვილი დაწინაურებულია მირზაანის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ; „წითელი არბოშიკის" კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. ალადაშვილი—არბოშიკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ. თავდაცვა-ავიაქიმის სილნაღის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ქურდაშვილი ახლა საქ. კ. პ. (ბ) სილნაღის რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორია, დაბალი სამუშაოდან პარტრაიკომის პასუხისმგებელ ინსტრუქტორებად დაწინაურებული არიან აგრეთვე ალ. ჭაბაშვილი და გ. ნათელაშვილი.

ს. ყურაშვილი

აგიტსემინარი კარგად მუშაობს!

ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროებში აგიტსემინარს, რომელშიც 32 აგიტატორი და 11 ხმამაღლა წამკითხველი ითვლება, პარტკომის მდივანი ამხ. შ. ლაფერაძე ხელმძღვანელობს. აგიტკოლექტივის სამეცადინო ოთახი საუკეთესოდ არის მორთული, აქ არის სსრ კავშირის და მსოფლიოს რუკები, დადგმულია რადიო. აგიტსემინარის სამეცადინო დღეებად დაწესებულია ყოველი თვის 7, 17 და 22 რიცხვები. არ ყოფილა ნაჩვენები დღეებში მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევა.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ლაფერაძე და პარტკაბინეტის გამგე კ. ცირეკიძე სისტემატურად ატარებენ საუბრებს აგიტკოლექტივში და აძლევენ აგიტატორებს დავალებას და მითითებებს.

ზოგიერთი აგიტატორი წინათ ძნელად აგროვებდა ხალხს, თავის საგიტაციო უბანში საუბრის ჩასატარებლად, ახლა კი მუშები ხალისით გროვდებიან და გულისხმიერად ისმენენ ახალ ამბებს საერთაშორისო საკითხებზე, ისმენენ ჩვენი ქვეყნის მორიგი გამარჯვებების ამბებს და სხვ. სტალინის მარაოელების ნსმენელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მოწინავე აგიტატორები: ნ. კობახიძე (ინჟ.), რ. ასატროვი, ქ. ბეშკენაძე, ლ. აქიაშვილი, ხმამაღლა წამკითხველები: ა. გაბადაძე, თ. ნანიშვილი და სხვ.

მაგრამ ასე არ ითქმის აგიტატორებზე: ა. ცირეკიძეზე და ბ. ჟორჟოლიანზე. მათი საუბრები ძალიან მშრალად ტარდება, ისინი ხშირად არ დადიან აგიტკოლექტივში, ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებშიც კი, რის შედეგად მათთან მსმენელების დასწრება მცირეა.

საჭიროა აღმოვფხვრათ ეს ხარვეზიც, რათა აგიტაცია-პროპაგანდა უნაკლოდ მიმდინარეობდეს.

დავ. საბედაშვილი.



საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ავტოსკოლა.
სურათზე: პოლიტხელი ამხ. მ. ბალათარია უკითხავს ავტოსკოლის კურსანტებს გაზ. „კომუნისტს".
ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სოხუმის რაიკომმა დაივიწყა პარტგანათლება

(სოხუმი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტგანათლებას.

რაიონში ძირითადად არსებობს ორი ტიპის პოლიტწრეები: პარტიის ისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელი და პოლიტკოდნის წრეები. მაშასადამე რაიონის პარტკაბინეტთან უნდა არსებობდეს პროპაგანდისტთა ორი სემინარი. ფაქტიურად აქ არსებობს მხოლოდ ერთი სემინარი, რომელშიც გაერთიანებული არიან როგორც პარტიის ისტორიის შემსწავლელი, ისე პოლიტკოდნის წრეების პროპაგანდისტები—34 კაცი.

ასეთი სემინარი, ცხადია, ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორიც აქაა შექმნილი. რაიკომმა ნაცვლად სამისა პროპესემინარის მეცადინეობისათვის თვეში გამოჰყო ორი ღღე, თვითეული 6 სამეცადინო საათის ხანგრძლივობით. ჯერ ერთი, ეს უნდა ჩაითვალოს შეცდომად, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვით ამ გამოყოფილ დღეებშიც არ ტარდება მეცადინეობა. ასე, მაგალითად, პირველი იანვრიდან 1 ივნისამდე უნდა ჩატარებულიყო 10 მეცადინეობა, ჩატარებულია კი—3. ისიც აი როგორ: 10 თებერვალს 34 პროპაგანდისტიდან მეცადინეობას დაესწრო 12 კაცი, და ნაცვლად 6 საათისა მეცადინეობა ჩატარდა 3-ნახევარი საათის განმავლობაში; 20 თებერვალს დაესწრო—15, მეცადინეობის ხანგრძლივობა უდრიდა 1-ნახევარ საათს; 10 მარტს კი მეცადინეობაზე გამოცხადდა 14 პროპაგანდისტი; მეცადინეობის ხანგრძლივობა იყო 3 საათი.

პარტკაბინეტის გამგეს ამხ. ი. სიხარაძეს და რაიკომის მუშაკებს (ე. აბაკელია და სხვ.) დღემდე ისიც ვერ მოუგვარებიათ, რომ პროპესემინარის ჟურნალი შეედგინათ.

რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. ალანია პირადად არ ხელმძღვანელობს პროპესემინარის მუშაობას და საერთოდ პარტგანათლების საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ის პროპესემინარის ერთერთი ხელმძღვანელია (ლექტორი), მას ჯერ ერთხელაც არ წაუკითხავს ლექცია პროპაგანდისტთა სემინარზე. ასევე უყურადღებოდ ეკიდება ამ საქმეს რაიკომის მესამე მდივანი ამხ. თ. გაგუა, რომელიც მხოლოდ შემთხვევით თუ გამოცხადდება პროპესემინარზე და ჩაატარებს საუბარს. რაიკომის ბიუროს არ მიუღია გადამჭრელი ზომები პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხზე დაიწერა როგორც ადგილობრივს, ისე რესპუბლიკურ პრესაში, მაგრამ სიგნალს რაიკომის მუშაკები ყურს უყრუებენ.

ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები რაიონში თითქმის ჩაშლილია. ასე, მაგალითად, მარტის მაისში ჩაიშალა თორმეტი საკონსულტაციო ჯგუფის მეცადინეობა. მეცადინეობების ჩაშლაში ბრალი მიუძღვით რაიკომის მუშაკებს ამხ. ქ. იასონოვს, თ. გაგუას, ე. აბაკელიას, მ. კალაიდოპულოს და ოპანესიანს, რომლებიც არ გამოცხადდნენ თავიანთ ჯგუფებში. მათ მიერ მეცადინეობის ჩაშლა პირველი როდია. ამას ადგილი ჰქონდა გასულ თვეებშიც.

თვით პარტკაბინეტთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფების მუშაობა ხომ სრულებით არა სჩანს. გარდა პარტიის ისტორიის საკონსულტაციო ჯგუფისა, არცერთ ჯგუფს დღემდე არ დაუწყია მუშაობა. კონსულტანტები ალაპარაკებულ (ლენინიზმი) და თ. გაგუა (მიმდინარე პოლიტიკის საკითხები) ყოველად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

ასევე ჩაშლილია რაიპარტაქტივის სწავლება. მიმდინარე წელს 10-ის მაგვრად პარტაქტივის მეცადინეობა ჩატარდა მხოლოდ სამჯერ, ისიც ნაუცბათევად. პარტკაბინეტმა არ იცის რამდენი კაცია ჩაბმული პარტაქტივის სწავლებაში. აქ მხოლოდ „დაახლოვებით" იციან თვლა: „დაახლოვებით 50 კაცამდეო",— აცხადებენ.

რაიკომი რომ უყურადღებოდ სტოვებს პარტიული სწავლების საქმეს, ამას ისიც ადასტურებს, რომ ბიუროს დღემდე არ განუხილავს პოლიტწრეების მუშაობის არცერთი საკითხი. რაიკომის არცერთი მდივანი (ალანია, ესებეა, გაგუა) პირადად არ ამოწმებენ პოლიტსკოლების მუშაობას. ამიტომ მათ მხედველობიდან გამოეპარათ, რომ მაისში სოფ. ბაბუშერის ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტწრეში ორჯერ უმიზეზოდ ჩაიშალა მეცადინეობა; რომ კოლმეურნეობა „სოვეტსკაია აბხაზიასთან" არსებული პარტორგანიზაციის პოლიტწრეში მიმდინარე წელს პროპაგანდისტ ფრანგოპულოს დაუდევრობით ჩაშლილია 5 მეცადინეობა და ა. შ.

პოლიტსკოლებს არა აქვთ მუშაობის კალენდარული გეგმა. რაიკომის მუშაკებს ჯერ არ „მოუცლიათ" ამ საქმისათვის.

ცხადია, რომ სოხუმის პარტრაიკომის მუშაკებს დღემდე სათანადოდ ვერ შეუგნიათ პარტიული სწავლების უდიდესი მნიშვნელობა. მაგრამ საკითხავია, ამ მდგომარეობას რატომ საჭირო ყურადღებას არ აქცევს საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი?.

გ. მერკვილაძე.

ფოთისა და მარიუპოლის ნავსადგურების შეჯიბრება

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

14 ივნისს ფოთის ნავსადგურის სტახანოველებმა მარიუპოლის ნავსადგურის (აზოვის ზღვის სანაოსნო) სტახანოველებისაგან მიიღეს შემდეგი შინაარსის რადიოგრამა: „მარიუპოლის ნავსადგურის სტახანოველთა შეკრებამ აიღო ვალდებულება ვადაზე ადრე გადაამუშაოს ნავსადგურში შემოსული ყველა გემები და კომპლექსური სოცშეჯიბრების ხელშეკრულება დასდოს გემების კომანდებს შორის. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ფოთის ნავსადგურის კოლექტივს. ჩვენ ვეჯიბრებით აგრეთვე რკინიგზელებსაც. დარწმუნებული ვართ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზელები არ ჩამორჩებიან და შეუერთდებიან ჩვენი ნავსადგურის, გემების და რკინიგზელების კოლექტიურ კომპლექსურ შეჯიბრებას".

ფოთის ნავსადგურის სტახანოველებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ეს გამოწვევა და 15 ივნისიდან პრაქტიკულად შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას.

15 ივნისს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა თბომავალი „კოლექტივიზაცია", რომლის დატვირთვა გათვალისწინებული იყო 17 საათის განმავლობაში. სტახანოველი მეამწეების (მეკრანეების) რ. ჭოჭუას, გ. კლიმოვის, ა. პროსვირინის, მექანიკოს ივ. ხიხობაიას და დისპეტჩერ პ. გოროზიანის თავდადებული მუშაობის შედეგად „კოლექტივიზაცია" დაიტვირთა და მოიხსნა ნავსადგურიდან 10 საათისა და 15 წუთის განმავლობაში.

16 ივნისს, დიდი შეფერხების მიუხედავად (აბჰესიიდან 4 საათით ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტა), ფოთის ნავსადგურელებმა შესძლეს გემ „ზარიანინის" დროულად დატვირთვა და მისი დანიშნულებისამებრ გამგზავრება.

როსტოვიდან აზოვის ზღვის სანაოსნო სამმართველოს უფროსის ეუკოვისაგან მიღებულია შემდეგი მინაარსის რადიოგრამა: „დიდად მადლობელი ვარ 15 ივნისს თბომავალ „კოლექტივიზაციის" ვადაზე ადრე დატვირთვისათვის. ამ ოპერაციის წარმატებამ უზრუნველჰყო ნახევარი თვის გეგმის შესრულება".

ფოთის ნავსადგურში ფართოდ გაიშალა ბრძოლა კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ზ. მელიქია.

ვემზადოთ მოსახლეობის აღწერისათვის

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოსთან არსებობს მოსახლეობის 1939 წლის საყოველთაო კომისია. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1938 წლის მარტიდან.

კომისიის ცნობებით, დამთავრებულია საქართველოში მოსახლეობის აღწერისათვის მოსამზადებელი მთელი რიგი სამუშაოები: დასახლებულ ადგილთა სიების შედგენა, სახლთმფლობელთა სიების შედგენა და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის წესრიგში მოყვანილი ქუჩების სახელწოდება და სახლების ნუმერაცია ახალქალაქის, ბორჯომის, ბორჩალოს, გურჯაანის, ზუგდიდის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის, ტყიბულის, ცხაკაიას, ცაგერის და მანგლისის რაიონებში. ჩამოთვლილი რაიონების რაიალმასკომებმა უახლოეს ხანში ლიკვიდაცია უნდა უყონ დღემდე არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან ერთად აღწერისათვის გამოსადეგი ქალაქის სქემატური გეგმა არა აქვთ ქუთაისს, გურჯაანის, დუშეთის, ონის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, ხაშურის, ცხაკაიას, გუდაუთის, ჭიათურის, ბორჯომის, მანგლისის და სხვა რაიონებს.

ამ საკითხზე საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში ამ დღეებში შესდგა მოსახლეობის საყოველთაო კომისიის მორიგი სხდომა ამხ. ლ. მამალაძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე მოსმენილ იქნა აფხაზეთის ასსრ აღრიცხვის სამმართველოს უფროსის ამხ. ა. ხურცილავას მოხსენება აფხაზეთში მოსახლეობის აღწერის მზადების მიმდინარეობაზე. შედგენილი სიების ხელმეორედ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სასოფლო საბჭოს არაზუსტად აქვს შედგენილი დასახლებულ ადგილთა სიები, სიებში გამოტოვებულია მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთ ქალაქში სახლების ნუმერაცია ჯერაც არ არის დამთავრებული (ჩიბიჩირე, გალი და სხვ.).

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. ნ. არღანაშვილის მოხსენება ქ. თბილისში სახლთმფლობელთა სიების შემოწმების შედეგების შესახებ. მან ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ახასიათებდა სახლთმფლობელთა წინათ შედგენილ სიებს. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიმდინარე წელს სახლთმფლობელთა სიები შედგენილ იქნა ჩამოვლით. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სახლებში მცხოვრებლები არც კი იცვნენ აღრიცხული, ზოგი სახლი მიკუთვნებული იყო იმ კვარტალზე, რომელსაც არ ეკუთვნოდა.

მიუხედავად თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა, რაიონულ საბჭოებს დღემდე არ მიუღიათ ზომები ქუჩების დასახელებისა და სახლების ნუმერაციის წესრიგში მოსაყვანად. ხშირად ვხვდებით ქუჩების ახალსა და ძველს დასახელებას, ახალ და ძველ ნუმერაციას ერთსა და იმავე სახლებზე და აგრეთვე ისეთ სახლებს, რომლებსაც სრულებით არა აქვთ ნომრები (ლენინის და 26 კომისრის რაიონები).

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ლ. მამალაძემ, გ. მანჯგალაძემ, ფერიძემ, გ. სოლომონიამ და სხვებმა ილაპარაკეს იმ ძირითად დეფექტებზე, რომლებიც ახასიათებს მოსახლეობის აღწერისათვის მზადებას, და დასახეს კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი.

უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ცხოვრება საამური და სასიხარულო გახდა, გაუმჯობესდა მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობები, კოლოსალურად გაიზარდა მასების კულტურული მოთხოვნილება.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა დიდ მოთხოვნებს უყენებს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

როგორც საბჭოთა კავშირში, ისე, ეერძოდ, საქართველოში უდიდესი მუშაობა არის ჩატარებული ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. ბერია დიდ ყურადღებას აქცევენ მასების ჯანმრთელობის დაცვას და საერთოდ ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობას. ამხანაგ ლ. ბერიამ შესანიშნავი მითითებანი მისცა ჯანმრთელობის ორგანოებს.

ამ მითითებათა რეალიზაციის შედეგად გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების ქსელი.

მხედველობაში რომ არ მივიღოთ ჯანმრთელობის ის მრავალრიცხოვანი კერები, რომლებიც დიდი ხანია მოქმედებენ, საილუსტრაციოდ ავიღოთ შემდეგი: 1937 წელს საქ. ჯანსახკომის ხაზით გათვალისწინებული იყო აგება 69 ახალი საბავშვო ბაგისა 1806 საწოლით, 51 სამშობიარო სახლისა 328 საწოლით და ხუთი სარძეო სამზარეულოსი. ამავე წელს სწარმოებდა 1936 წლის გადამავალი მშენებლობა 16 საბავშვო ბაგისა 1264 საწოლით, 2 სამშობიარო სახლისა — 100 საწოლით და 1 სარძეო სამზარეულოსი. ამათგან დიდი უმრავლესობის მშენებლობა დამთავრებულია და ისინი გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

ამ გაზრდილ ქსელს, რასაკვირველია, უკეთესი მომსახურება და მზრუნველობა სჭირდება.

ჯანსახკომის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამმართველომ გამოარკვია და შეისწავლა რესპუბლიკის თითქმის ყველა საბავშვო ბაგის მუშაობა.

გასულ თვეს ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებული დადგენილება საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსი „სასოფლო საექიმო უბნის განმტკიცების შესახებ" დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის საექიმო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

1938 წლისათვის საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში დამტკიცებულია 645 სასოფლო საექიმო უბანი. ამავე წელს უნდა მოეწყოს სოფლად დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტით 315 საფერშლო სამეანო პუნქტი.

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების ყოველ პუნქტში გამოსვლის სტალინური მზრუნველობა ადამიანზე. სოფლად მედიცინის მუშაკების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: დაეკალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საოლქო და სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ საუბნო ექიმები უფასო ბინებით, გათბობით და განათებით. აგრეთვე უზრუნველჰყონ სასოფლო საექიმო უბნები საკუთარი ტრანსპორტით ექიმების მომოსვლისათვის უბანში.

დიდდება სოფლად მყოფი ექიმების შრომის ხელფასი, რასაც ამტკიცებს ის, რომ საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირის ჯანსახკომს საერთო - საკავშირო ბიუჯეტიდან ეძლევა 27 მილიონი მანეთი, აქედან 20,5 მილ. მანეთი სასოფლო საუბნო ექიმების ხელფასის გასადიდებლად.

სოფლად მომუშავე სამედიცინო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საკ. სახკომსაბჭო აწესებს საუბნო ექიმების მეცადინეობას კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვიან კურსებზე, მათი სამი წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ.

ადგილობრივი მოსახლეობიდან სამედიცინო მუშაკების კადრების გამოზრდის მიზნით საკ. სახკომსაბჭო ავალებს საკ. ჯანსახკომს, რათა „საფერშლო სკოლებში და სამეანო სკოლებში მიღება აწარმოოს იმ ანგარიშით, რომ მიღებულ პირთა არა ნაკლებ 50 პროცენტისა იყოს ადგილობრივი სოფლის მოსახლეობიდან".

სოფლად ჯანმრთელობის მრავალრიცხოვანი ახალი კერების გახსნასთან დაკავშირებით იზრდება სამედიცინო კადრების მოთხოვნილება. ამ მიზნით საკ. სახკომსაბჭო ავალებს საკ. ჯანსახკომს, რათა 1938 წელს სასოფლო ადგილებში სამუშაოდ გაგზავნოს 4.500 ექიმი, აქედან საქ. ჯანსახკომმა უნდა გაგზავნოს — 130 ექიმი.

ამ ღონისძიებას საქართველოს მედიცინის მუშაკები აღფრთოვანებით შეხვდებიან და სოფლად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა - ტრაქტორების სადგურებში და სხვ. მუშაობას ჩასთვლიან სახელის, დიდებისა და პატივის საქმედ.

გ. მაისურაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი

საკურორტო სეზონი ბორჯომში

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

საკურორტო სეზონი ბორჯომში 1 ივნისს გაიხსნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბორჯომის საკურორტო სამმართველო სავსებით მომზადებული ვერ შეხვდა საკურორტო სეზონს. ჯერ კიდევ დაუმთავრებელია ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ბაღის კეთილმოწყობა. სრულიად მოუწყობელია ამხანაგ ლ. ბერიას და ამხანაგ ფ. მახარაძის სახელობის ქუჩები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დამსვენებელთა კულტურული მომსახურების საქმეს. მინწყლების პარკში მოლოდ სამჯერ გაიმართა კონცერტი. ეს იყო და ეს.

საკურორტო სეზონს მოუმზადებელნი შეხვდნენ აგრეთვე წყლები და ბაკურიანი, სადაც დღემდე შეუკეთებელია გზები. მთელი წლების განმავლობაში კეთილმოუწყობელია ბაკურიანის პარკი. იგი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.

კვლავ კეთილმოუწყობელია აგარაკი ახალდაბა. შეუკეთებელია გზები. უპატრონოდაა მიტოვებული ახალდაბის პარკი, რომელსაც პირუტყვი აოხრებს.

საკურორტო სეზონს სავსებით მოუმზადებელნი შეხვდნენ სავაჭრო ორგანიზაციები (კურორტმომარაგება - ვაჭრობა, საქვაჭრობა, რაიკოოპკავშირი), რომლებმაც საკმარისი მუშაობა ვერ ჩაატარეს იმისათვის, რომ შემოეტანათ საზაფხულო ასორტიმენტის საქონელი, აგრეთვე პროდუქტები (ხორცი, ყველი, კარაქი, ხილი, მწვანილი და სხვ.).

ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია აგრეთვე ბორჯომის რაიალმასკომის შინაგაჭრობის განყოფილებას. სრულიად მოუწყობელია ბორჯომის ბაზარი, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს.

ბორჯომისა და მისი რაიონის მშვენიერ კურორტებზე, მარად მწვანით შემოსილი ტყის შუაგულში აღმართულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ათასობით ისვენებენ აყვ

ჩაის კრეფის სახელოვან ოსტატთა გამოცდილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმი არა თუ აკრძალავს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი ოდენობით, გამოყენილ იქნას მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიანთ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოიჩინონ ტალანტები, რომელნიც ხალხში უღევიეია და რომელთაც კაპიტალიზმი თელავდა, სრესდა, ანგრევდა ათასობით და მილიონობით.

ვ. ლენინი

მართალია, დააკვირდით ამხანაგ სტახანოვლებს. რა წარმოადგენს ეს? ეს, უმთავრესად, არიან ახალგაზრდა ან შუა ხნის მუშები და მუშა-ქალები, კულტურული და ტექნიკურად მომზადებული ადამიანები, რომლებიც მუშაობის სიზუსტისა და აკურატობის ნიმუშებს იძლევიან, რომელთაც შეუძლიანთ დააფასონ დროის ფაქტორი მუშაობაში და რომელთაც უსწავლიათ დროის ანგარიში არამარტო წუთობით, არამედ წამობითაც. მათმა უმეტესობამ გაიარა ეგრეთწოდებული ტექნიკური მინიმუმი და ისინი განაგრძობენ თავისი ტექნიკური განათლების შევსებას.

ი. სტალინი

ორდენოსანი სტახანოველი საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ცაცა ქარდავა ჩაის კრეფაზე.
ფოტო გ. დ. ტოლმაჩევისა

მოწინავეთა შესანიშნავი ინიციატივა

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებები იქნა მიღწეული ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების მოვლა-გაშენებისა და მოსავლიანობის გადიდების გეგმების შესრულებაში.

2-3 წლის წინათ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ დღეში 30-40 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფას, საუკეთესო მაჩვენებელი 60 კილოგრამს ძლივს აღწევდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. ჩაის კრეფისა და მოსავლიანობის გადიდების მაჩვენებლები, რომლებიც 2-3 წლის წინათ საუკეთესოდ ითვლებოდა, ახლა თითქმის ყველგან საშუალო მაჩვენებლად გახდა. საქართველოში მრავლად მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც დღიურად 100-130 კილოგრამს და კიდევ მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ, ხოლო რეკორდსმენები 200-300 კილოგრამი ფოთლის მოკრეფასაც კი ახერხებენ.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები გულმოდგინედ სწავლობენ აგროწესებსა და მათ სტახანოველთა მდიდარი გამოცდილებით ავსებენ. ისინი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების შესწავლისა და გამოყენებისადმი. სწორედ ამ დიდი ინტერესის შედეგი იყო ის შეხვედრა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მოუწყეს ოჩამჩირის რაიონის მოწინავე სტახანოველ კოლმეურნეებს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. **უშა ახუბას**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ორდენოსან ამხ. **ცაცა ქარდავას** და გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველს ამხ. **დუშა ქვაჩახიას.**

რუხელი კოლმეურნეები გაზეთებიდან ხშირად ვებულობდნენ იმ შესანიშნავ წარმატებებს, რომელსაც აფხაზეთის ცნობილი სტახანოველები ამხ. ახუბა, ქარდავა და ქვაჩახია აღწევდნენ ჩაის სამუშაოებში. წელს მაისის უკანასკნელ რიცხვებში ამხ. ახუბამ ნორმით დაწესებული 11 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა 299 კილოგრამი ფოთოლი, ქარდავამ — 215 კილოგრამი, ქვაჩახიამ კი — 238 კილოგრამი.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა „კომუნისტის“ საშუალებით წერილით მიმართეს ჩაის კრეფის ამ სახელოვან ოსტატებს (იხ. 3 ივნისის „კომუნისტი“). კოლმეურნეები, მოუთხრობდნენ რა სტახანოვური მუშაობის შედეგად მიღწეულ თავიანთ წარმატებებს, სწერდნენ: „ახლა ეს წარმატებანი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა უახლოეს ხანში მივაღწიოთ იმას, რომ მთელი კოლმეურნეობა სტახანოვურ კოლმეურნეობად გადავაქციოთ, ჩვენი ჩაის მკრეფავები მუშაობდნენ ისე, როგორც თქვენ მუშაობთ. ენერგიულ მუშაობას ჩვენ არ დავიზარებთ. ვვჭირდება თქვენი გამოცდილების გაზიარება, რომ ვიცოდეთ, როგორ მუშაობთ და რით აღწევთ ამ შესანიშნავ წარმატებებს, რომ ამით კიდევ უფრო დავაჩქაროთ სტახანოველთა რიგების ზრდა, კიდევ უფრო გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება...“. რუხის კოლმეურნეობის ბრიგადირები და ჩაის კრეფის სტახანოველები თავიანთ წერილში ამ მიზნით სთხოვდნენ მათ სწვეოდნენ კოლმეურნეობაში, ადგილზე პლანტაციებში პრაქტიკულად ეჩვენებინათ და გაეცნოთ კოლმეურნეებისათვის თავიანთი მუშაობის მეთოდები.

ერთსულოვნად მიიღეს რა ეს წინადადება, საპასუხო წერილში, რომელიც სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბრიგადირებსა და სტახანოველებს გაეგზავნა (იხ. 6 ივნისის „კომუნისტი“), ამხანაგები ახუბა, ქარდავა და ქვაჩახია სწერდნენ: „სტახანოველთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა წინ წავწიოთ საქმე, ჩვენი მიზანია ვამრავლოთ სტახანოველთა რიგები და კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა. თუ ერთეულებმა, რაგინდ დიდ წარმატებებსაც არ უნდა აღწევდნენ ისინი, ათეულები და ასეულები არ გაიყოლიეს, ვეგმის შესრულებაში ისე საერთო მაღალ მაჩვენებლებს ვერ მივიღებთ... სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრივობაშია. რასაკვირველია, ცალკეულ რეკორდებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ჩვენ თან უნდა გავიყოლიოთ მთელი მასა და ყოველმხრივ დავეხმაროთ სტახანოველებსა და დამკვრელებს... სტახანოვური გამოცდილების ურთიერთ გაზიარება და მისი ფართოდ გავრცელება ყველა კოლმეურნის არსებითი მოვალეობაა“.

სტახანოველთა ამ გულთბილ შიწერ-მოწერას და საქმიან წინადადებას საუკეთესო შედეგი მოჰყვა. 6 ივნისს სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ეწვივნენ ჩაის კრეფის ეს სახელოვანი სტახანოველები და კოლმეურნეებს დაწვრილებით გააცნეს თავიანთი მუშაობის შეთოდები თვით პლანტაციაში.

❀

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობაში ამჟამად 180 მკრეფავიდან 135 სტახანოველი და დამკვრელია. გამომუშავების დღიურ ნორმას აქ თითქმის ყველა კოლმეურნე გადაჭარბებით ასრულებს. თითქმისაც კოლმეურნე დღეში ჰკრეფს 40—60 კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლს.. მაგრამ ეს მაჩვენებლები, ცხადია, ჩამორჩება იმ მიღწევებს, რომლებსაც ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის და სხვა მოწინავე კოლმეურნეობათა კოლმეურნეებმა მიაღწიეს. სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ყველა პირობა გააჩნიათ იმისათვის, რომ მიაღწიონ ისეთივე მაჩვენებლებს, როგორიც ახუბას, ქარდავას, ქვაჩახიას და სხვა მოწინავე სტახანოველებს აქვთ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ, როგორც ეს რუხში სტუმრებთან ერთად ჩატარებულმა ჩაის საჩვენებელმა კრეფამ გვიჩვენა, აქ სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ აფასებენ დროის ფაქტორს მუშაობაში.

რუხის კოლმეურნეები ჩაის საკრეფად ჩვეულებრივ კალათს და ზოგიერთ შემთხვევაში ფანერის ყუთებსაც იყენებენ. აქ საკრეფი ჭურჭელი 2-3 კილოგრამს იწონის და 3-4 კილოგრამზე მეტ ფოთოლს არ იტევს. მძიმე ჭურჭლის ერთი ბუჩქიდან მეორე ბუჩქზე გადატანაში მკრეფავი მალე იღლება. მიმღები პუნქტი, მართალია, ბრიგადაშია მოწყობილი, მაგრამ ფოთლის ჩაბარებაზე მკრეფავები მაინც ბევრ დროს ჰკარგავენ. მაგალითად, კოლმეურნეს, რომელიც დღეში 60 კილოგრამს ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, იმის გამო, რომ სათადარიგო კალათი არ გააჩნია, ჭურჭელიც მცირე მოცულობისაა, 15—20-ჯერ უხდება საბრიგადო პუნქტში მისვლა ფოთლის ჩასაბარებლად. ბრიგადის რადიუსი ხშირად 2 კილომეტრამდე აღწევს და, ამრიგად, მკრეფავს მარტო ფოთლის ჩაბარებაზე პლანტაციიდან პუნქტამდე და უკან ზედმეტი 30-40 კილომეტრის გავლა უხდება.

ჩაის მოწინავე სტახანოველი ამხ. ცაცა ქარდავა კოლმეურნეებს ასწავლის აგროწესებს.
ფოტო გ. დ. ტოლმაჩევისა

დროს წუთობით და წამობით ანგარიშობენ

საბგანყოფილებიანი კალათი. ცაცა ქარდავა და მისი ამხანაგები კი ასე როდი იქცევიან, ქარდავამ იმ მიზნით, რომ კრეფა გაადვილებოდა, შარშან სპეციალური კონსტრუქციის კალათი გამოიგონა, რომელიც ახლა ოჩამჩირის მთელ რიგ კოლმეურნეობებშია გავრცელებული. ეს კალათი მეტად მარტივია და ისეა მოწყობილი, რომ მკრეფავს წელზე მოხერხებულად ემაგრება და არ საჭიროებს ხელით ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას. ეს განსაკუთრებული კონსტრუქციის კალათი თანაბარი მოცულობის ორი მოგრძო კალათისაგან შესდგება, რომლებიც ერთმანეთთან გადაღობილი და შეერთებულია ტკეჩისავე არხისმაგვარი განყოფილებით. საკრეფი ჭურჭელი წელზე მაგრდება ქამრისებური ზონარით, კალათი მსუბუქია—იწონის 1 კილოგრამამდე და იტევს 6-7 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს.

თანმიჯოლებითი კრეფა. სოფელ რუხის კოლმეურნეობაში სხვადასხვა ხარისხის ფოთოლს სხვადასხვა დროს კრეფენ. სხვადასხვა ხარისხის ფოთლის ერთდროულად მოკრეფის საშუალებას აქ არც მათი კალათი იძლევა (კალათი ერთგანყოფილებიანია). ეს ორგვარ დაბრკოლებას ჰქმნის. ჯერ ერთი, მკრეფავს პირველი, მეორე, მესამე ხარისხებისა და უხეში ფოთლის მოსაკრეფად უხდება მწკრივების რამდენიმეჯერ გავლა და, მაშასადამე, მთელი პლანტაციის ზედმეტად შემოვლაც. ამაზე კი მკრეფავს ბევრი დრო და ენერგია ეკარგება, გარდა ამისა, ასეთი მუშაობით ფოთლის ხარისხიც უარესდება, ეს იმიტომ, რომ მკრეფავს, ვიდრე იგი პირველი ხარისხის ფოთოლს მთლიანად არ მოჰკრეფს თავის ნაკვეთში, ისე მეორე ხარისხის ფოთლის კრეფის საშუალება არა აქვს. ამ დროის განმავლობაში კი პირველი ხარისხის ფოთოლი მეორეში გადადის, მეორისა—მესამეში, მესამე ხარისხის ფოთოლი კი უხარისხო ხდება, უხეშდება.

ცაცა ქარდავას და მის ამხანაგებს საქმე სულ სხვაგვარად აქვთ მოწყობილი. მათი კალათი სამგანყოფილებიანია. ეს კი საშუალებას იძლევა ერთდროულად მოიკრიფოს ბუჩქზე საკრეფად მოსული ყველა ფოთოლი.

ასეთი წესით მუშაობას ჩვეულებრივ კრეფასთან შედარებით შემდეგი უპირატესობა აქვს: ვალწევთ ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხელს ვუწყობთ ბუჩქის უკეთეს ვეგეტაციას და აქედან მოსავლიანობის გადიდებას, თავიდან ვიცილებთ ზედმეტ, უნაყოფო სიარულს ბუჩქებიდან—ბუჩქზე, პლანტაციიდან—პლანტაციაში. საშუალება გვეძლევა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, დავზოგოთ დრო.

ჩაის კრეფის ამ სახელოვანმა ოსტატებმა, როგორც ამას ამხანაგი **სტალინი** ამბობს, იციან „...დროის ანგარიში არა მარტო წუთობით, არამედ წამობითაც“. ისინი მუშაობის დროს ზუსტად ითვალისწინებენ ყველა „წვრილმანს“, როგორიცაა ბუჩქზე მიდგომა, მოსული ფოთლის მიყოლებითი კრეფა, ხელების მოძრაობა, ბრიგადასა და ჯგუფში მუშახელის მოფიქრებულად განაწილება და სხვ.

დუქების გამოცნობა. ერთი შეხედვით, როცა აკვირდები ერთის მხრივ უშა ახუბას, ცაცა ქარდავას, დუშა ქვაჩახიას და მეორეს მხრივ რუხის კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველების ხუხა შენგელიას, ნაზია ღურწკაიას, ლენა ნაყუბიას და სხვების მუშაობას, უკანასკნელნი ჩაის კრეფის სისწრაფეში თითქოს არც-კი ჩამორჩებიან ამ რეკორდსმენებს. მაგრამ რუხის ეს სტახანოველები ჩაის მწვანე ფოთლს დღეში 60-63 კილოგრამზე მეტს ვერ ჰკრეფენ. მაგალითად, ნაზია ღურწკაია ახლა დღეში 60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს და ნორმას 4-5-ჯერ აჭარბებს. მუშაობის დროს იგი რომ ყველა „წვრილმანს“ ითვალისწინებდეს, ბევრად მეტს მოჰკრეფდა. ღურწკაია, მართალია, ჩაის ორივე ხელით ჰკრეფს, სწრაფადაც მუშაობს, მაგრამ ჯერ ერთი ხელით მოსწყვეტს ფოთოლს, შემდეგ მეორეთი და ა. შ. ამიტომ ორივე ხელით კრეფა დიდ ეფექტს არ იძლევა.

ცაცა ქარდავა, უშა ახუბა და დუშა ქვაჩახია კი ასე არ იქცევიან. აგროწესების სანიმუშოდ შესწავლის შედეგად ისინი ისე არიან დახელოვნებულნი, რომ პირველი **შეხედვისთანავე ერკვევიან ბუჩქის მდგომარეობაში, სწრაფად ასხვავებენ პირველი, მეორე, მესამე ხარისხისა და უხეშ ფოთოლს ერთიმეორისაგან.** ამის შედეგია, რომ მათ არ უძნელდებათ ფოთლის ორივე ხელით ერთდაიმავე დროს მოწყვეტა.

მნიშვნელოვანი „ფვრილმანები“. ნაზია ღურწკაია და მისი ამხანაგები კრეფის დროს მთელ მკლავს ამოძრავებენ, რაც მათ მალე ღლის, მაშასადამე იგი ამცირებს შრომის ნაყოფიერებასაც. ცაცა ქარდავა, უშა ახუბა და დუშა ქვაჩახია კი კრეფის დროს უმთავრესად ამოძრავებენ **არა მკლავს,** არამედ **თითებს.** ამიტომ შრომაც ადვილდება და მისი ნაყოფიერებაც მაღალია.

რუხის კოლმეურნეები ბუჩქს პირველად მოზრდილ ყლორტებს ვადაკრეფენ, შემდეგ კი დანარჩენი ფოთლების ძებნას მეტ დროს ანდომებენ. ქარდავა, ახუბა და ქვაჩახია კი მოსულ ფოთოლს ჰკრეფენ პირწმინდად და თანმიყოლებით. თუ ბუჩქი პატარაა, კრეფის მთელ ოპერაციას ერთის მხრიდან მიდგომით ამთავრებენ, დიდს ბუჩქს კი ჰკრეფენ ორი მხრიდან. ამით ისინი იგებენ დროს, თავიდან იცილებენ ბუჩქის ირგვლივ სიარულის საჭიროებას, **ფოთოლიც მოუკრეფავი არ რჩება.**

აფხაზეთის რეკორდსმენები იმასაც კი უწევენ ანგარიშს, რომ მოკრეფილი ფოთოლი ხელში ნორმალური რაოდენობით (20—30 დუყი) დაგროვონ და კალათში ფოთლის წამდაუწუმ ჩაყრით არ დაკარგონ ზედმეტი დრო. მათ სწორად აქვთ გამოანგარიშებული აგრეთვე ის დრო, რომელიც პლანტაციიდან პუნქტამდე ფოთლის გადატანისათვის უნდა დაიხარჯოს. მკრეფავთა ბრიგადაში, სადაც ცაცა ქარდავა მუშაობს, სპეციალური კაცია გამოყოფილი. მას დავალებული აქვს თვითეული მკრეფავისაგან ფოთოლი კრეფის ადგილზევე ჩაიბაროს, რომ მიმღებ პუნქტიდან მიმოსვლაში მკრეფავი არ მოსცდეს. ეს კი საბოლოო ანგარიშით როგორც მთლიანად ბრიგადას, ისე ცალკე მკრეფავს დროის დიდ ეკონომიას აძლევს.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

კოლმეურნეობებში, სადაც ქარდავა, ახუბა და ქვაჩახია მუშაობენ, საერთოდ კარგად არის მოწყობილი შრომა. ჩამოყალიბებულია ჩაის მუდმივი ბრიგადები, ხოლო ბრიგადებს შიგნით ჯგუფები, რომლებსაც პლანტაციები 6-7 წლის ვადით აქვთ მიმაგრებული. ჯგუფები თავიანთ ჩაის ნაკვეთებში ასრულებენ ყოველგვარ სამუშაოს, როგორიცაა მსუბუქი და ღრმა გადაბარვა, გათხნა, გასხვლა, მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა, პლანტაციებში სასუქის შეტანა, კრეფა და სხვ. ფარგოდ არის გაშლილი აგროტექნიკური სწავლება. ბრიგადები და ცალკეული კოლმეურნეები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, სისტემატურად ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ბრიგადებში ყოველდღიურად იმართება ხუთწუთიანი საწარმოო თათბირები. ამ თათბირებზე ჯამდება ჩატარებული მუშაობის შედეგები და კოლმეურნეები აყენებენ თავიანთ პრაქტიკულ წინადადებებს. პერიოდულად მოწმდება ამ წინადადებათა შესრულებაც.

ასეთი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობებში სწრაფად მრავლდება სტახანოველთა რიცხვი და დღითიდღე იზრდება შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 248 მუშახელიდან ამჟამად 153 სტახანოველი და დამკვრელია. კოლმეურნეობაში 18 მუდმივი ბრიგადა და 73 ჯგუფია. პლანტაციებში მოწყობილია 11 ფარდული, სადაც კოლმეურნეები თავს აფარებენ წვიმისაგან და ისვენებენ. ფოთლის მისაღებად დაარსებულია 11 პუნქტი. ფოთლის გადასაზიდად კი გამოყოფილია 10 ურემი, კოლმეურნეობაში მუშაობს 54 ხარისხის ინსპექტორი, რომელიც მტკიცედ ანხორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს ხარისხზე და ეხმარებიან კოლმეურნეებს მუშაობის გაუმჯობესებაში. 117 კოლმეურნე სწავლობს აგროწრეებში. სამეცადინოდ გამოყოფილია კვირაში ერთი დღე. წელს აქ 134 კოლმეურნემ მოკლევადიან კურსებზე შეისწავლა ჩაის კრეფის წესები. ამ მასობრივი მუშაობის შედეგად მაისში აქ, ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 34.912 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლისა, მოჰკრიფეს 40.292 კილოგრამი.

სოფელ კოჩარის (ოჩამჩირის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. გოგუა ინჯავს ჩაის სტახანოველის ორდენოსან ამხ. ცაცა ქარდავას მიერ შემოღებულ საკრეფ კალათს.
ფოტო გ. დ. ტოლმაჩევისა

ცაცა ქარდავამ თავის კოლმეურნეობაში 1936-37 წლებში გამოზარდა 52 სტახანოველი, რომლებიც ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 6-7-ჯერ აჭარბებენ. ქსენია ჯომიდავა, რომელიც ცაცა ქარდავას მოწაფეა, დღეში 97 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, ოლღა ქარდავა — 96 კილოგრამს, შ. ყალიჩავა და ვ. ჯომიდავა — 90-90 კილოგრამს და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა უშა ახუბამ მასზე მიმაგრებულ 1 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მაისში უკვე მოჰკრიფა 2800 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. უშა ახუბა, გარდა იმისა, რომ ჩაის კრეფაში რეკორდებს ამყარებს, მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კოლმეურნეობებში სტახანოველთა ახალი კადრების აღსაზრდელად. მან უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული ისეთი სტახანოველი გამოზარდა, რომლებიც ახლა დღეში—150-160 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ. ასეთებია, მაგალითად: იშოა ხაჯიევი, ტისა ჯიმერია, თამარ კაკალია, ნადია პაპავა, იანკო ადლუბა და სხვ. უშა ახუბამ მიმდინარე წლის 5 თვეში 500 შრომადღეზე მეტი გამოიმუშავა.

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა დუშა ქვაჩახიამ, რომელიც უშა ახუბასთან არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, 27 მაისს ჩაის კრეფის დღიური ნორმა 1.337 პროცენტით შეასრულა. ამ კოლმეურნეობაში მთელი რიგი ბრიგადები მთლიანად სტახანოვურ მუშაობაზე გადავიდნენ. მასობრივი სტახანოვური მუშაობის გაშლით ამ კოლმეურნეობამ შარშან გეგმით გათვალისწინებული 70.400 კილოგრამის ნაცვლად 105.566 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, მიმდინარე წლის მაისში კი—25.850 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა 40.065 კილოგრამი.

ამ კოლმეურნეობებში სტახანოველებს საუკეთესოდ აქვთ შესწავლილი ჩაის თვითეული ბუჩქი. კრეფის, სასუქის შეტანის, თოხნისა და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს აქ ყველა ბუჩქისა და ნაკვეთის თავისებურებას. მაგალითად, ჩაის სუსტ ბუჩქს მეტ სასუქს აძლევენ, ღონიერს კი — პირიქით. პლანტაციებს თოხნიან თვითეული ნაკვეთისადმი დიფერენცირებული მიდგომით. დასარევლიანებულ ნაკვეთს თოხნიან სარეველა ბალახების მთლიანად მოსპობამდე. ეს კოლმეურნეები თოხნის დროს იმასაც კი უწევენ ანგარიშს, ნაკვეთში რა სახის სარეველა არის გავრცელებული. იმ ნაკვეთს, სადაც ქასრა, გვიმრა და სხვა ამგვარი სარეველები იზრდებიან, სხვებთან შედარებით თოხნიან ხშირად, ხოლო ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე ღრმად ბარავენ, ფესურებს კი აგროვებენ და წვავენ. როდესაც ნაკვეთში ისეთი სარეველებია გავრცელებული, რომლებიც თესლის ჩაცვივნით მრავლდებიან, მას თესლის მომწიფებამდე თოხნიან.

ყოველივე ამის შედეგად აღნიშნულ კოლმეურნეობებში სწრაფად მრავლდებიან სტახანოველები, დღითიდღე იზრდება შრომის ნაყოფიერება, მზადდება ნიადაგი იმისათვის, რომ მალე ყველა ბრიგადა და მთელი კოლმეურნეობა სტახანოვური გახდეს.

კოლმეურნეთა საწარმოო თათბირი პლანტაციაში

ექვს ივნისს სოფელ რუხის კოლმეურნეობის წევრებს სწორედ ამ საკითხებზე უმამღვნა ჩაის კრეფის რეკორდსმენებმა უშა ახუბამ, ცაცა ქარდავამ და დუშა ქვაჩახიამ. ამ დღეს მათ ჯერ საჩვენებელი კრეფა მოაწყეს, შემდეგ კი მათივე მონაწილეობით პლანტაციებში შესდგა კოლმეურნეთა საწარმოო თათბირი. თათბირზე თავისი შუშაობის შესახებ სიტყვით გამოვიდა სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. ცაცა ქარდავა.

— კოლმეურნეობაში, — სთქვა ამხ. ქარდავამ,—1930 წლიდან ვმუშაობ. თავიდანვე ყველა სახის სამუშაოს ვასრულებდი. ჩაის პირველად ერთი ხელით ვკრეფდი და 1935 წლამდე დღიურად 15 კილოგრამზე მეტი არ მომიკრეფია. ვიფიქრე—თუ ცალი ხელით 15 კილოგრამს ვკრეფ, მეორე ხელითაც რომ ვკრიფო, 30 კილოგრამს მოვკრეფ-მეთქი. დავიწყე ორივე ხელით მუშაობა და დღიურად 25 კილოგრამი ფოთლის მოკრეფა შევძელი. ჩემს მაგალითზე 1936 წელს 36 კოლმეურნემ დაიწყო ჩაის ორივე ხელით კრეფა. მათ შესძლეს დღეში 30—35 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა. მე კი 40 კილოგრამს მივალწიე და ამით გადაჭარბებით შევასრულე დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისათვის** კრემლში შეხვედრისა და ორდენის მიღების დროს მიცემული პირობა.

—ჩაის საკრეფად, — განაგრძობს ამხ. ქარდავა, — წინათ ჩვეულებრივს კალათს ვიყენებდი, რომელიც ერთი ბუჩქიდან მეორეზე ხელით გადადამქონდა. დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ უმჯობესი იყო კალათი წელზე ამეკიდა. ასეც მოვიქეცი, კალათი წელზე ზონარით მოვიბი. ამ ღონისძიების გატარებით შრომის ნაყოფიერება თითქმის ორჯერ გავზარდე. მაგრამ მუშაობის დროს ამ ხერხს დადებით მხარეებთან ერთად ნაკლიც აღმოაჩნდა. კალათი წელზე ხშირად მოძრაობდა, იგი ხან წინ მოექცეოდა, ხან გვერდზე. ეს კი საშუალებას არ მაძლევდა ბუჩქს სწორად მივდგომოდი და ჩაი ორივე ხელით შეუფერხებლად მეკრიფა. გადავწყვიტე ისეთი კალათის შემოღება, რომელიც წელზე მოხერხებულად მომერგებოდა. ამის შესახებ ვუამბე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელმაც ჩემი წინადადება მოიწონა. კალათის მოწვნა ვთხოვე სტახანოველ კოლმეურნეს ძოლა შონიას. მაგრამ ვიდრე იგი საქმეს შეუდგებოდა, მეორე აზრი მომივიდა: გადავწყვიტე ამ ახალი ტიპის კალათს სამი განყოფილება ჰქონოდა, რომ ამით საშუალება მომცემოდა ერთდროულად მომეკრიფა თვითეული ბუჩქზე ყველა ხარისხის ფოთოლი. ჩემი წინასწარი ანგარიშით, ამ ღონისძიების გატარებას შედეგად მოჰყვებოდა შრომის ნაყოფიერების ერთი - ორად, ერთი - სამად გაზრდა. კალათიც გაკეთდა, დავიწყე კრეფა და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. პირველ დღიდანვე მოვკრიფე 150 კილოგრამი და კიდევ მეტი. ასეთი კალათი ჩემს კოლმეურნეობაში სხვა წევრებისთვისაც დამზადდა. გაიზარდა და გამომუშავება. 36-მა ქალმა ასეთი კალათის გამოყენებით და სხვა ღონისძიებათა გატარებით შესძლო დღეში 50 კილოგრამი ჩაის მოკრეფა, მე კი მოვკრიფე 200 კილოგრამზე მეტი. ჩემს მიერ შემოღებული კალათი, — დაასკვნის ამხ. ქარდავა, —ახლა მასობრივად არის გავრცელებული მეზობელ კოლმეურნეობებშიც.

სოფელ რუხის კოლმეურნეობის წევრებმა მოიწონეს ეს ღონისძიებანი. საწარმოო თათბირზე ამ დღეს მთელი რიგი საქმიანი წინადადებები შეიტანეს. საჭიროდ სცნეს აგროტექნიკური წრეებში კოლმეურნეთა მასობრივად ჩაბმა, ახალი ფორმის კალათების დამზადება და საქმის იმგვარად მოწესრიგება, რომ ამ მოწინავე სტახანოველების გამოცდილება ფართოდ იქნას დანერგილი ბრიგადებსა და ჯგუფებში.

რუხელმა კოლმეურნეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს ჩაის მოსავლიანობის გადიდება, ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება და საერთოდ შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა.

❀

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ლ. ბერიას სახელობის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭოლოუს ვოროშილოვის სახელობისა და სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა ჩაის კრეფის მოწინავე სტახანოველების შეხვედრა მოწყობილი იყო მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვის დამუშავების დროს ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების უზრუნველსაყოფად. ეს შეხვედრა ფრიად საქმიან ურთიერთობაში ჩატარდა. რუხელი კოლმეურნეები მეტად კმაყოფილი დარჩნენ ჩაის კრეფის ამ სახელოვან ოსტატებთან შეხვედრით. მათ ბევრი რამ ისწავლეს ამ წარჩინებული ადამიანებისაგან.

ჩაის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეწარმოო-ორგანოებმა ფართოდ უნდა დანერგონ ეს მდიდარი გამოცდილება და ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ადგილებს სტახანოველთა რიგების კიდევ უფრო სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად.

ტრ. თოდრაძე
ტ. აცანელი

ზუგდიდი, სოფ. რუხი
ივნისი 1938 წ.

ჩაის კრეფის წარჩინებული ქალები (მარცხნიდან მარჯვნივ): სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უშა ახუბა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი ცაცა ქარდავა, დუშა ქვაჩახია, ორდენოსანი ლუბა შენგელია და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზინა ქვარაია.
ფოტო ჰ. ხიბელიანი

კამათი თემთა პალატაში

ჩემბერლენის გამოსვლა

ლონდონი, 21 ივნისი (საკუთარი). დღეს თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის შესახებ გამართულ კამათში გამოვიდა პრემიერი ჩემბერლენი, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა, რომ იგი, „ისევე როგორც, ალბათ, მთელი პალატაც, იზიარებს ოპოზიციის წარმომადგენლის ნოელ ბეიკერის (ლეიბორისტი) მიერ გამოთქმულ აზრს თანამედროვე ომის საშინელებათა შესახებ, რაც უწინარეს ყოვლისა საჰაერო ბომბარდირებაში გამოიხატება.

სამოქალაქო მოსახლეობის, როგორც ასეთის, ბომბარდირება ან სამოქალაქო მოსახლეობაზე წინასწარი განზრახვით თავდასხმა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.

წინასწარი განზრახვით სამოქალაქო მოსახლეობის ბომბარდირება მისი დემორალიზაციის მიზნით, — განაცხადა ჩემბერლენმა, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

მე არ მჯერა, რომ წინასწარი განზრახვით სამოქალაქო მოსახლეობის საჰაერო ბომბარდირება უზრუნველჰყოფდეს იმათ გამარჯვებას, ვიხილავთ. საერთაშორისო შეთანხმების დადების დროს ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ამ შეთანხმებას საფუძვლად დაედოს ისეთი წესები, რომლებიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის და რომლებიც შესრულდება პრაქტიკაში. ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ ზრავალ შემთხვევაში ჩინეთსა და ესპანეთში უგულებელჰყოფენ საერთო წესებს და წინასწარი განზრახვით უშენენ ყუმბარებს სამოქალაქო მოსახლეობას“.

შემდეგ ჩემბერლენი შეეხო ინგლისის გემების ბომბარდირებას ესპანეთის ტერიტორიულ წყლებში. მან განაცხადა, ინგლისის მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, თუ ომში არ ჩავერიეთ და ხელი არ აეღოთ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც იგი ატარებს ესპანეთში საომარი მოქმედების დასაწყისიდანვე.

ბურგოსიდან ინგლისის აგენტის გამოწვევის წინადადების შესახებ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯი ეფექტიური არ იქნებოდა და ზიანს მოუტანდა ინგლისის ვაჭრობას.

ჩემბერლენმა განაცხადა, რომ, სანამ ომი გრძელდება, მოსალოდნელია ინციდენტებისა და საშინელებათა განმეორება, რომელთა წინააღმდეგაც ინგლისის მთავრობა პროტესტებს აცხადებს.

◇ ◇ ◇

„ესპანეთის საკითხის გადასაჭრელად სამი გზა არსებობს“

ლონდონი, 21 ივნისი (საკუთარი). ინგლისის პრესა ბევრს სწერს იმაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ესპანეთის საკითხი, რათა შესაძლებელი გახდეს ინგლის-იტალიის შეთანხმების რატიფიკაცია. მთავრობის პრესის აზრით, ესპანეთის საკითხის გადასაჭრელად სამი გზა არსებობს. „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, ეს გზები მდგომარეობს შემდეგში: ჯერ-ერთი, გენერალ ფრანკოს სწრაფი გამარჯვება. მაგრამ, ჰესი-მისტურად აცხადებს მიმომხილველი, „გამარჯვება, როგორცა სჩანს, ჯერ კიდევ ძლიერ შორს არის“. მეორე გზა; განაგრძობს მიმომხილველი, — ეს არის დროებითი ზავი. მაგრამ „ჯერჯერობით დროებითი ზავის დადების ცოტა იმედია“. მესამე გზა — ეს არის ესპანეთიდან უცხოელთა გამოწვევის სქემის შეთანხმების დამთავრება ჩაურევლობის კომისიაში.

„ტაიმსის“ საწინააღმდეგოდ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველი ჰფიქრობს, რომ მოქმედების უფრო მიზანშეწონილ ხაზს წარმოადგენს არა „მოხალისეთა“ გამოწვევა ესპანეთიდან, არამედ „დროებითი ზავი“. „დეილი მეილის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობამ პირინეის საზღვარი დახურა იმის გამო, რომ ეს სპეციალურად ითხოვა ჩემბერლენმა, რომელსაც ამით უნდა უზრუნველჰყოს ჩაურევლობის კომიტეტის 21 ივნისის სხდომის „წარმატება“.

◇ ◇ ◇

საფრანგეთის მემარცხენე პრესა აღშფოთებულია

პარიზი, 21 ივნისი (საკდესი). გაბრიელ პერი „ლუმანიტეში“ ათავსებს სტატიას, რომელშიც ამტკიცებს, რომ 13 ივნისიდან საფრანგეთის მთავრობამ დაჰკეტა საზღვარი ესპანეთთან. „როგორიც არ უნდა იყოს ლონდონის კომიტეტის გადაწყვეტილება, — სწერს პერი, — 13 ივნისიდან რესპუბლიკურ ესპანეთთან მიმოსვლა ბლოკირებულია, მაშინ, როდესაც მეამბოხეთა ნავსადგურები ფართოდ გაღებული რჩება. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად დამყარებული რეჟიმი უარესია, ვიდრე ის რეჟიმიც კი, რომელიც ლონდონის კომიტეტმა დაამყარა“.

პოლ ნიზანი გაზეთ „სე სუარში“ სწერს: „მუსოლინიც კი ვერ გაბედავდა მოეთხოვა ის, რაც მოიმოჭმედა საფრანგეთის მთავრობამ ლონდონის ზეგავლენით“.

ჟირომსკი „პოპულერში“ ლაპარაკობს „ესპანეთის რესპუბლიკისა და საფრანგეთის უშიშროებაზე ახალ ხელყოფის შესახებ“. „მუსოლინის ზემოქმედება და შანტაჟი,— სწერს იგი, — ერთხელ კიდევ დამთავრდა წარმატებით. ჩვენ დავთმეთ. საფრანგეთის მთავრობა აფერხებს ესპანეთის რესპუბლიკის ბრძოლას. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა თვითონ უწყობს ხელს აგრესორთა დასაყრდენი პუნქტების შექმნას ესპანეთში, როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერში, აგრეთვე მათი საზღვაო ბაზების შექმნას, რომლებიც უშუალოდ საფრანგეთის წინააღმდეგ არის მიმართული“. დასასრულ, ჟირომსკი სწერს: „მთავრობის უმწეობისა და სულმოკლეობის პირობებში დაგვრჩენია მხოლოდ ერთი გზა — ხალხის მასების ზეგავლენა, რათა გზა გადავუღობოთ იმ უფსკრულს, რომლისკენაც ეწევიან ჩვენს ქვეყანას“.

◇ ◇ ◇

ინგლისისა და ამერიკის გემების ბომბარდირება

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტის გადმოცემით, გუშინ ბარსელონაში მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის ოთხ და ამერიკის ერთ გემს. ყველა გემი დაზიანებულია. 19 ივნისს ბარსელონის საჰაერო ბომბარდირების დროს დაიჭრა ინგლისის გემ „ტორბოის“ კაპიტნის თანაშემწე.

◇ ◇ ◇

მეამბოხეთა ავიაციის მოქმედება

ჰავასის სააგენტოს ცნობებით, 20 ივნისს იტალია-გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ბარსელონას, რაც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ყუმბარები, უმთავრესად, ნავსადგურის რაიონში ჩამოვარდა და ზიანი მიაყენა ინგლისის გემს.

იმავე დღეს, გათენებისას, ფაშისტურმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ვალენსიის მიდამოებს. მსხვერპლი არ არის. ფაშისტთა თვითმფრინავების ცდა მიახლოებოდნენ ნავსადგურს აღკვეთილ იქნა რესპუბლიკელთა განმანადგურებლებითა და საზენიტო ბატარეებით. (საკდესი).

◇ ◇ ◇

საბჭოთა მთავრობის წარდგინება კანტონის ბომბარდირების წინააღმდეგ

ტოკიო, 20 ივნისი (საკდესი). 17 ივნისს სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა სმეტანინმა ინახულა საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი ხორინოუჩი და მიჰმართა მას წარდგინებით იმის გამო, რომ იაპონიის არმია და განსაკუთრებით კი ავიაცია ყუმბარებს უშენენ ჩინეთის დაუცველ მშვიდობიან მოსახლეობას და. დაუცველ მშვიდობიან ქალაქებს. თავის განცხადებაში სმეტანინმა განსაკუთრებით აღნიშნა კანტონის ბომბარდირება, რომელიც რამდენიმე კვირაა გრძელდება და რომელმაც უკვე იმსხვერპლა მრავალი ათასი კაცი, მათ შორის დიდძალი ქალი და ბავშვი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ იაპონიის ავიაციის მოქმედება კანტონში წარმოადგენს მშვიდობიან დაუცველ მოსახლეობაზე სასტიკი ძალადობის სრულიად უსამართლო აქტს და რომ ამან უაღრესი აღშფოთების გრძნობა გამოიწვია მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრის მხრით. სსრ კავშირის მთავრობამ, რომელიც საბჭოთა ხალხის გრძნობებს გამოხატავს, გამოსთქვა თავისი მტკიცე სურვილი, რათა შესწყდეს ამგვარი თავდასხმები ჩინეთის დაუცველ მოსახლეობასა და მშვიდობიან ქალაქებზე.

◇ ◇ ◇

ინგლისის ინტერვენცია ესპანეთში 6 ნახევარ მილიარდ ღირად ღაჯღა

პარიზი. 20 ივნისი (საკდესი). „ფრანს მილიტერი“ აქვეყნებს სტატიას, რომელიც აღნიშნავს, რომ იტალიის ინტერვენცია ესპანეთში იტალიის ფაშისტურ მთავრობას ექვს ნახევარ მილიარდ ლირად დაუჯდა.

მწერალთა კავშირში

მაქსიმ გორკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

საქ. მწერალთა სასახლეში მოეწყო დიდი რუსი ხალხის გენიალური მწერლის მაქსიმ გორკის გარდაცვალებიდან ორი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. სანდრო ეულმა, რის შემდეგ გორკის ლიტერატურულ - რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბესო ჟღენტი. ამხ. ჟღენტმა ილაპარაკა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე გორკის დიდ დამსახურებაზე და სთქვა, რომ ეს გენიალური მწერალი მსოფლიო პროლეტარიატს და საბჭოთა ხალხს ხელიდან გამოსტაცეს კაცობრიობის უსაზიზღრესმა მტრებმა — ტროცკისტ - ბუხარინელებმა, ფაშიზმის ამ დაქირავებულმა ჯაშუშებმა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ლეო ქიაჩელი და ალ. ჭეშვილი, რომლებმაც ილაპარაკეს გორკის მხატვრულ ნაწარმოებებზე. საღამოს მეორე ნაწილში პოეტებმა ალ. აბაშელმა, ვ. გაფრინდაშვილმა, სანდრო ეულმა, ვ. გორგაძემ, ს. ხიდიხთაველმა წაიკითხეს მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი ლექსები.

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

22 ივნისს, თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდმა მოსკოვში ჩაატარა მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ამ დღეს მის წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „პიშჩევიკის“ ოსტატთა გუნდი.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და კიევის „დინამოს“ ოსტატთა გუნდები.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ლენინგრადის „დინამოს“ სასარგებლოდ.

ამრიგად, ჩატარებული 8 მატჩიდან ჯერჯერობით დაუმარცხებელად მიდიან თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს“ ოსტატთა გუნდები, რომელთაც შეგროვილი აქვთ თორმეტ-თორმეტი ქულა 16 შესაძლებლობიდან.

ღვინის ჩამოსასხმელი ავტომატი

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანამ პირველად საბჭოთა კავშირში აითვისა საბჭოთა გამომგონებლის ინჟ. ბ. ი. ჟუკოვის სისტემის ორი ავტომატი კვების მრეწველობისათვის. ერთი ავტომატი სადოზირო ჩამომსხმელია, ხოლო მეორე შუშხუნა ღვინოების ჩამომსხმელი, რომლის წარმადობა საათში 7.500 ბოთლამდეა.

ავტომატები, როგორც თავისი იდეით, ისე კონსტრუქციით ახლებია და სავსებით ჩვენი — საბჭოთა. პირველი ავტომატი (სადოზირო ჩამომსხმელი) აწარმოებს 1-დან — 0,10 ლიტრამდე ბოთლების ჩამოსხმას მათი ტევადობის მიხედვით ჩამოსხმის რეგულირებით. ჩამოსხმა ხდება ყოველი ტევადობის, ფასონისა და ზომის ჭურჭელში ჩამოსასხმელი დოზის დაურღვევლად. ავტომატის სადოზირო მოწყობილობა სტაციონარულია ყველა ტევადობისათვის, რაც არ გააჩნიათ საზღვარგარეთულ ავტომატებს. მას შეუძლია ჩამოსხმა წონის მიხედვითაც, მაგალითად ზეთისა და სხვა სითხეებისა, რომლებიც ჩამოსხმას წონის მიხედვით მოითხოვენ.

მეორე ავტომატი მით განსხვავდება პირველისაგან, რომ ჩამოსხმას აწარმოებს ბოთლის ძირიდან იმ დონემდე, რომელიც წესდება ბოთლის ყელიდან. ეს საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნას ჩამოსხმა შუშხუნა ღვინოებისა და ისეთი ღვინოებისა, ჰაერის შერევა რომ ვნებს.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მეღვინეობის ორგანიზაციების მუშაკთაგან შედგენილმა სპეციალურმა კომისიამ გამოსცადა ხსენებული ავტომატები, სცნო მათი დიდი მნიშვნელობა და საუკეთესო შეფასება მისცა.



სურათზე: ინჟინერ-გამომგონებელი ბ. ი. ჟუკოვი მისი კონსტრუქციის ღვინის ავტომატურად ჩამომსხმელ მანქანასთან.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ნაყოფიერი მუშაობა ბავშვებთან

ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გაშალა ამ ზაფხულს თბილისის პიონერთა და მოწაფეთა კულტურისა და დასვენების პარკმა.

ბავშვები იქ უზრუნველყოფილი არიან მრავალი სათამაშოებითა და გასართობებით. ბევრი ბავშვი ჩაბძულია პარკთან არსებულ ლიტერატურულ, დრამატიულ, ცეკვის, მომღერალთა და სხვა თვითმმოქმედ წრეებში.

ბავშვები გულმოდგინედ მეცადინეობენ აგრეთვე პარკის საბავშვო ტექნიკურ სადგურთან არსებულ საავიომოდელო, ფოტო, რადიო და ელექტროტექნიკურ წრეებში, სადაც ისინი ტექნიკის მოწყვეტებს ეცნობიან.

პარკის ცენტრალური საბავშვო სამკითხველო უზრუნველყოფილია საბავშვო ლიტერატურით.

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით, 18-დან 24 ივნისამდე, პარკში ტარდება ბავშვთა საზეიმო ექვსდღიური. ექვსდღიურის დღეებში იმართება ტიკინების რუსული თეატრის წარმოდგენები და კონცერტები საქფილეგთის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. შერჩეულია სპეციალური საბავშვო პროგრამა. ამ დღეებშივე ეწყობა ბავშვთა მასობრივი ცეკვები და კარნავალები.

ექვსდღიურში თითო დღე რიგრიგობით ეთმობა თბილისის ცალკეულ რაიონებს. აღნიშნულ დღეებში საბავშვო საღამოებზე საქფილეგთის ძალების გარდა გამოდიან რაიონის პიონერთა კლუბებთან და სკოლებთან არსებული ბავშვთა თვითმმოქმედი წრეები და საუკეთესო ინდივიდუალური შემსრულებელნი.

ბავშვებთან იმართება საუბრები იმაზე, თუ როგორ უნდა ვაისვენონ მათ ზაფხულის პერიოდში.

ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში.
ფოტო-ეტიუდი მ. კვირკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სამხედრო ნაკრები გუნდების შეჯიბრება

21 ივნისს დამთავრდა ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშება ფეხბურთსა და კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სამხედრო გარნიზონების ნაკრები გუნდები.

ბაქოსა და ლენინაკანის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:2 ბაქოელების სასარგებლოდ, თბილისი-შულავერისა—5:2 თბილისის სასარგებლოდ, ბაქო-თბილისისა და თბილისი-ლენინაკანისა — თბილისის სასარგებლოდ პირველთან ანგარიშით 4:1, ხოლო მეორესთან — 9:1. შულავერ-ლენინაკანის შეხვედრა დამთავრდა შულავერელთა გამარჯვებით — 2:1.

შეჯიბრება ტარდებოდა ჭულობრივი სისტემით. გამარჯვება მოიპოვა თბილისის გარნიზონის ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც 6 შესაძლებლიდან ექვსივე ქულა დააგროვა და ამით ამიერ-კავკასიის პირველობა და ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

სხვადასხვა გუნდების 17 საუკეთესო მოთამაშე დატოვებულ იქნა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრებ გუნდში, რომელიც ერთი თვის საწვრთნელი ვარჯიშობის შემდეგ გაემგზავრება მოსკოვს წითელი არმიის სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

კალათბურთელთა გუნდებიდან პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს წითელი არმიის საკავშირო სპარტაკიადაში.

დ. კახიძე

ქალაქის კომენდანტისაგან

23, 24 და 25 ივნისს მლაშე ტბების რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა. (საქდესი).

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული

ძირეული პრესის მუშაკთა კურსების

მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პრ. № 16) დღეს, 23 ივნისს, საღამოს 8 საათზე.

მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

შემთხვევები

სპეციალისტის შეპარობა. თბილისის მილიციის მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს სპეკულანტი ი. ა. ქანანოვი (ვაჩაძლის ქ. № 12). ქანანოვი გამყიდველად მუშაობდა თბილმოწვეავეპრობის ნავთლუღის № 34 მაღაზიაში, საიდანაც სისტემატურად იპარავდა სხვადასხვა საქონელს. მის ცოლს კი ეს საქონელი ბაზარზე გაჰქონდა და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა.

გაჩხრეკის დროს ქანანოვს ბინაში აღმოაჩინდა 90 მეტრი ფართლეული, ნასკვები, ჩულქები, სახნები და მრავალი სხვა საქონელი.

ქანანოვის საქმე სასამართლოს გადაეცა.

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. 20 ივნისს, დღისით, კოჯრის გზატკეცილზე ავარია განიცადა სატვირთო ავტომანქანამ № 04-38, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. მ. ოგანოვი. თბილისიდან მეხუთე კილომეტრზე შოფრის უყურადღებობით მანქანის წინა თვლები თბილისი ჩავარდა, მაგრამ დაჯახების გამო გაიღო შოფრის კაბინა, სადაც შოფერთან ერთად მოქ. იამანიძე იჯდა. იამანიძე გადაკვარდა თხრილში და მძიმედ დაშავდა. ის გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა.

შოფერი ოგანოვი დაპატიმრებულია, გამოძიება სწარმოებს.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

23 ივნისს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: მემარცხენეების შეპაყრა მეორე ინტერნაციონალში. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

იმავე კაბინეტში — კონსულტაცია თემაზე: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904-1907 წ.). ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ზ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: სახელმწიფოს შესახებ კომუნიზმის პირველ ფაზაში. ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ტალახაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917-1918 წ. აპრილი). ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ვერულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული აიტტკოხტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში იწვევს არტემ ვართანის-ძე ჩახმახსაზოვს, იოსებ ფარხაოზის-ძე ბაოტაშვილსა და ბეგლარ ქუზუს-ძე თორდუას 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. აღასაროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი 22).

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

23/VI — წარმოდგენა 199 — უკანასკნელად — **სელელი**

24/VI — წარმოდგენა 200 — **სეზონის დახურვა** — **ნაკერწკლიდან**

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღია დღის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

ССРА
კვებმრეწვსახკომი
„გლავკონდიტერი“
იყიდეთ
„გლავკონდიტერის“ ფაბრიკების
კარამელი
(შეუხვეველი)

ხილ-გულით

კენკრის

გემრიელია და იაფი 149

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „პროლეტარი“
და „ენი-ქენი“
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½ ს-მდე
„კომუნისტის“
გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი № 34.

თბილისის მაჟურნალოგისა და კოსმეტიკის კაბინეტი ეძიმ ნ. ბ. კონგოროვიჩისა
გადავიდა
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.), № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი მაჟურნალობს ძიძიბებს, ფერისმგბამელას, ჭორჯლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეგეეებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 17743

ქალაქ თბილისის ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა საყურადღებოდ, საფაბრიკო-საძარხნო ადგილკომეგს და ადგილზე მეეადვითი სიტყვის საზოგადოებრივ რეკუნებულებს

უთავდება ვადა ხელისმოწერას. რაც ჩაბარებულია 1938 წლის პირველ ნახევარში.

გამოწერილი გაზეთებისა და ჟურნალების მიღების შეჩერების თავიდან აცილებისათვის, ხელმოწერის მიღების უკანასკნელი ვადის დაულოდნელად, დროზე განაახლეთ ხელისმოწერა და ჩააბარეთ „სოიუზპეჩატს“ და საფოსტო განყოფილებას.

ხელისმოწერის უკანასკნელი ვადა:
ადგილობრივ გამოცემებზე 27 ივნისი
ცენტრალურ გამოცემებზე 23 ივნისი.

30 „თბილსოიუზპეჩატი“

აგარაკი ლებარდე
მაღალმთიანი კლიმატიური სადგური ნაზიბრეკვა რკინა-კალციუმიან-კარბონატიანი მინერალური წყლებით.
ჩვენებები: ფილტვების ტუბერკულოზი კომპენსიური ფორმის, ჯირკვლების და ძვალსახსრების ტუბერკულოზის მშრალი ფორმები, მალარია, მეორეული სისხლნაკლოვანებანი, კუჭის კატარი და სხვ.
გეგეჭკორიდან დობერარზენამდე მიმოსვლა ავტომანქანებით, შემდეგ ლებარდემდე ჩალანდრებით.
მოაგარაკენი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინებით და სურსათ-სანოვაგით.
იმუშავებს ამბულატორია და აფთიაქი და მოეწყობა კულტმომსახურების ყოველგვარი სახეები (სასულე ორკესტრი, კინო, სამკითხველო და სხვ.).
სეზონი 20 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.
1646 **აგარაკ ლებარდეს დირექცია.**

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
ალექსანდროვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-50

23 და 24 ივნისს
ტალონი № 23, 24
ძველი ბოშური რომანსებისა და სიმღერების შემსრულებლის
იზაბელა იერიეევას კონცერტი
ბილეთები იყიდება. დასაწყ. 9 ს. 30 წ.

23 და 24 ივნისს ღია ესტრადა
ლენინგრადის ესტრადის გასტროლები
კონფერანსიე ქ. ე. გინზბერგი
დაწერილებით აფიშებში. შესვლა ღია ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით. 50

მიღების პროგრამები ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის საპედაგოგო ინსტიტუტში
1938/39 სასწავლო წელს.

1. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკა-მათემატიკის, ენის და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ფიზკულტურისა და უცხო ენების (გერმანული, ფრანგული, ინგლისური) კვალიფიციურ მასწავლებლებს და ბიბლიოთეკის მომუშავეებს.
2. 1938/39 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტში მიღება იწარმოებს ფიზიკა-მათემატიკის (რუსულ-ქართული სექტორი), ენისა და ლიტერატურის (რუსულ-ქართული სექტორი), ისტორიის, გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო, უცხო ენების, ფიზკულტურისა და საბიბლიოთეკო განყოფილებებზე.
3. ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.
4. შემომსვლელი ჩაბარებს გამოცდებს რუსულსა და ქართულ ენებში (წერითი და ზეპირი), მათემატიკაში (წერითი და ზეპირი, პოლიტიკოდნასა, ფიზიკასა, ქიმიასა და ერთერთ უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული, შემოსვლელის არჩევით).
5. გეოგრაფიულ განყოფილებაზე შემომსვლელი ჩაბარებს დამატებით გამოცდას გეოგრაფიაში, ხოლო ისტორიის, ენისა და ლიტერატურის განყოფილებებზე შემომსვლელი—ისტორიასა და გეოგრაფიაში.
6. ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე. განცხადება შეიტანება დირექტორის სახელზე განყოფილების დასახელებით და შემდეგი საბუთების დართვით:
ა) დაწერილებითი ავტობიოგრაფია.
შენიშვნა: ავტობიოგრაფიაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები: დაბადების წელი, ადგილი, ეროვნება, ქვეშევრდომობა, პარტიულობა, განათლება, პოლიტიკა, საწარმოო სტაჟი, ოჯახური მდგომარეობა, მისამართი (თუ რაიონიდან არის, ნარჩენები უნდა იყოს რაიონი) და სხვ.
ბ) ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
გ) პასპორტი (შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას).
დ) სამი ფოტოგრაფიული სურათი (გ. დაღებული უქუდოდ 3×4 სანტ. ზომის), შემომსვლელის საკუთარი ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულების ბეჭედ.
ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან ღამოკიდებულების შესახებ (სანზედრო ვალდებულთათვის).
მისალები გამოცდები იწარმოებს აგვისტოს პირველიდან 20-მდე. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესით.
ცნობების გაცემა სწარმოებს ინსტიტუტის შენობაში ყოველდღე დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე (გარდა გამოსასვლელი დღეებისა).
მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 32.
1257 **ინსტიტუტის დირექცია.**

ა. წ. 29 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ამხანაგ **სტალინის** სახელობის **თბ. სახ. უნივერსიტეტის შენობაში**, აუდ. 107, დანიშნულია ქიმიის ფაკ. საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც ქიმიის მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დაიცავს დისერტაციას დოც. **ა. ფ. ოგანი** თემაზე: „Эквивалентная форма выражения констант масел и жиров“.
ოფიციალური ოპონენტი პროფ. **მ. ფალავგერიძე.**
მსურველთ შრომის გაცნობა შეუძლიანთ ქიმიის ფაკულტეტში.
1260 **სტალინის სახელობის თბ. ს. უ. რექტორი ბ. ქიკნაძე.**

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პრ. № 16, ამმომცემლობის — რუსთაველის პრ. № 34; ტელეფონები: სამდივნისი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიული — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მეწარმეთა ფერილების — 3—73—24; პ-მბ. მორიგის — 3—26—67, ამმომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ბეჭ. ს. თოდრიის სახ. სტამბა „კოსუხის ტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მოცულობა 4 გვერდი. შეკვეთა № 1646. ფასი 10 კაპ.

მოვლილია რწმენებული ა—292